ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ვინ აწერდა ხელს

ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვას


გვ.5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი, 2023 №201 (9237) ფასი: 80 თეთრი

# „ისრაელის ომის დაწყებაში რუსეთი მონაწილეობდა“


გვ.2

ვახტანგ მაისაია: „ივლისში „ჰეზბოლას," „ჰამასის“, ისლამური ჯიჰადისა და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები ბეირუთში ირანის სპეცსამსახურების წარმომადგენლებს შეხვდნენ და ოპერაცია დაგეგმეს“




გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „ნაციონალურ მოძრაობაში ამომრჩეველი იგნორირებულია“

## „ოცნება“ ყველაზე კარგად თავს ნაციონალებთან გრძნობს!


გვ.2

## „სააკაშვილი თვითონ უნდა მიხვდეს, რომ მისი თამაში წარუმატებელია“

იაგო ხვიჩია: „მოლოდინი მაქვს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, დასავლეთი რუსეთის გავლენის სფეროში არ დაგვტოვებს“

## შესაძლებელია თუ არა უკრაინის შეტევა ოჩამჩირეში ბაზის გამო?


გვ.4

### ქორწინების იძულებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის, 14 წლის გოგოს დედას პროკურატურამ ბრალდება წარუდგინა


გვ.4


გვ.3

## პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს შეხვდა


გვ.3

### მოსწავლის სექსუალურ შევიწროებაზე სკოლა სამართალდამრღვევად ცნეს

### თბილისის კონსერვატორიამ კულტურის სამინისტროს სასამართლოში უჩივლა


გვ.8



გვ.7

## ესპანურმა მედიამ თორნიკე შენგელიას სპორტული გზა ბავშვობიდან გაიხსენა

3 კათოლიხევში სასულიერო პირს 3 ველოსიპედი მოპარეს

3 დუშეთის ტყეში კაცის ცხედარი იპოვეს

6 ექიმი შიშველ პაციენტებს ფარულად ვიდეოს უღებდა

6 აშშ-მ ისრაელს სამხედრო დახმარება გაუზარდა

# „სააკაშვილი თვითონ უნდა მიხვდეს, რომ მისი თამაში წარუმატებელია"

## იაგო ხვიჩია: „მოლოდინი მაქვს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, დასავლეთი რუსეთის გავლენის სფეროში არ დაგვტოვებს"

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის" კითხვებს „გირჩის" ლიდერი იაგო ხვიჩია პასუხობს.



*— ბატონო იაგო, ბოლო დღეებია ვისმენთ შეფასებებს, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას ადანაშაულებს არაფორმალურ მმართველობაში და მთავარ ოპოზიციურ ძალაში რაც ხდება, ყველა ხედავს, თავად ჰყავთ არაფორმალური მმართველიო. ნაციონალური მოძრაობის ლიდერები კეზერაშვილს ეახლნენ. რატომ წავიდნენ კეზერაშვილთან, პარტიაში სიტუაციაა დასალაგებელი?*

— კეზერაშვილთან წასვლის მიზეზი, მე მგონი, თვალნათელია. იცით, რომ კეზერაშვილია მთავარი დონორი და დამფინანსებელი, ის დღეს ნაცმოძრაობის რეალური მმართველია. შესაბამისად, მმართველთან რატომ დადიან თანამშრომლები, ამას დიდი მიხვედრა არ უნდა. უფროსია კაცი და სურვილი აქვს, რომ თანამშრომლებს გაესაუბროს.

*— აბა ხაბეიშვილი რას აკეთებს? ვის აყრიან თვალში ნაცარს?*

— ხაბეიშვილი პარტიის თავმჯდომარედ მუშაობს, მაგრამ პარტიის დამფინანსებელი და რეალური მმართველი არის კეზერაშვილი, სააკაშვილთან ერთად, მაგრამ სააკაშვილი, მოგეხსენებათ, ციხეშია. შესაბამისად, ფინანსურ დონორთან მიდიოდეს მის მიერ დანიშნული ხალხი, ამაში გასაკვირი არაფერია. ასე რომ არ ხდებოდეს, ეს უფრო გასაკვირი იქნებოდა.

*— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს პროცესები პარტიას არ აზიანებს?*

— პარტია უკვე სათანადოდ დაზიანდა. პარტია რომ დაზიანდებოდა, ეს ამბები აქამდეც გარკვეული იყო. ხაბეიშვილი რომ ჩადის კეზერაშვილთან, ამით პარტია როგორ უნდა დაზიანდეს იმაზე უფრო მეტად, ვიდრე მაშინ დაზიანდა, როცა ხაბეიშვილი აირჩიეს, ეს ჩემთვის გაუგებარია. ამიტომ ახლა განსაკუთრებული არაფერი არ ხდება. ყველაფერი ისედაც უკვე გარკვეულია.

*— გამოდის ინფორმაციები, რომ ხაბეიშვილის ჩანაცვლებას ფიქრობენო. თქვენ თუ იცით რამე ამის შესახებ და ახლა რამდენად არის ამის დრო? ნიკა გვარამიაზე იყო საუბარი, შესაძლოა, ის გახდეს პარტიის თავმჯდომარე...*

— სიმართლე გითხრათ, ხაბეიშვილის გვარამიათი ჩანაცვლების შესახებ არაფერი გამიგია. პრობლემა ხომ ხაბეიშვილში არ არის. საქმე ისაა, რომ სადღაც, გაურკვეველ ადგილას, ხდება ვილაცის ვილაცით ჩანაცვლება და მერე ამის დაკანონების პროცესს ვუყურებთ სულ. სინამდვილეში ხაბეიშვილში კი არ არის პრობლემა, პრობლემა ისაა, რამაც ხაბეიშვილი ასე გახადა ნაცმოძრაობის თავმჯდომარე. ეს პრობლემად დარჩება, თუკი ხაბეიშვილს ამ ფორმით კიდევ სხვა ჩაანაცვლებს და ის გააგრძელებს პარტიის თავმჯდომარედ მუშაობას.

*— რამდენად მოინდომებს მიხეილ სააკაშვილი ასოცირდებოდეს ასეთი პარტიის ლიდერად?*

— სააკაშვილი მოინდომებს კი არა, სააკაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ ასეთი პარტიის ლიდერად მარტო თვითონ ასოცირდებოდეს. შესაბამისად, რატომ უნდა გააკეთოს რამე განსხვავებულად.

*— მისთვის რომ არაფერს აკეთებს ახლა პარტია? ახსოვთ საერთოდ სააკაშვილი?*

— სააკაშვილი ნაცმოძრაობაში ალბათ ყოველთვის ახსოვთ, მაგრამ მარტო ხსოვნა არ უშველის სააკაშვილის დღევანდელ მდგომარეობას. მგონია, სააკაშვილი თვითონ უნდა მიხვდეს, რომ მისი ეს თამაში წარუმატებელია. სანამ თვითონ არ მიხვდება, გარედან ვერავინ ვერ მიახვედრებს. პირიქით, მას შეუქმნიან კომფორტულ გარემოს, რაღაც თვალსაზრისით რომ იმის სჯეროდეს, რასაც გარედან აწვდიან, რომ ხაბეიშვილი, კეზერაშვილი და კიდევ სხვები, იბრძვიან მის გასათავისუფლებლად და ამისთვის ყველაფერს აკეთებენ.

*— ხაბეიშვილის და მისი გუნდის წევრების საქართველოში დაბრუნების შემდეგ, შესაძლოა, ცვლილებებიც ვიხილოთ ამ პარტიაში? ნიკა მელიას წამოსვლის პროცესიც ხომ არ დაჩქარდება?*

— ის რაც იანვრიდან ამ დრომდე ვერ მოგვარდა, ხაბეიშვილის ერთი ჩასვლით როგორ უნდა მოგვარდეს?! თუმცა მაინც საინტერესოა, რას მოიფიქრებენ და რამე ახალი სტრატეგია ექნება თუ არა ნაცმოძრაობას. სიმართლე გითხრათ, მე ამ თვალსაზრისით ხელი მაქვს ჩაქნეული და ჩვენ რაც უნდა გავაკეთოთ, შემდეგია: ქართველ ხალხს უნდა ვუთხრათ, რომ ნაცებიც და ქოცებიც ერთად უნდა წავიდნენ. ესენი ცალ-ცალკე არ წავლენ.

*— ქოცები ახსენეთ, რას იტყვით ხელისუფლების შიგნით მიმდინარე პროცესებზე? კანდიდატის სტატუსის მოლოდინშია ქვეყანა. ამჟამად ორბანი სტუმრობს ჩვენს ქვეყანას, ოპოზიცია კი აცხადებს, რომ ევროკავშირთან შუამავლად ორბანი არ გამოდგება, რადგან ის უფრო რუსეთისკენ იხრებაო. რას იტყვით თქვენ?*

— მე არა მგონია, რომ ბატონი ორბანი აქ საშუამავლოდ იყოს ჩამოსული. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ორბანი 2012 წელსაც ჩამოვიდა და იმ დროინდელ მთავრობას შეხვდა. მაშინ ხალხს მოუწოდებდა, რომ წარსულისკენ ნუ გაიხედავთო. მაშინ ხელისუფლება შეიცვალა, ორბანის ჩამოსვლა არც ხელისუფლებისთვის უნდა იყოს დიდად დამამშვიდებელი და არც ოპოზიციისთვის დიდი იმედების მომცემი. ის უბრალოდ სხვა საქმეზეა ჩამოსული.

*— წინა ხელისუფლებამ ცუდად დასცადა ორბანის ჩამოსვლა და შესაძლოა ამ ხელისუფლების შეცვლის წინა პერიოდია ახლა?*

— დიახ, ნაცებისთვის ნამდვილად მტკივნეული დამთხვევაა. არც ქოცებისთვის უნდა იყოს დამაიმედებელი, თუმცა ორბანის ვიზიტისგან მეტისმეტს ნუ მოვითხოვთ. ამ ხელისუფლების ცვლილება ჩვენი გასაკეთებელია.

*— საკმაოდ მკაცრი და კრიტიკული იყო ვენეციის კომისიის შეფასებები. თავის მხრივ, ხელისუფლება თავისას ამტკიცებს, რომ ყველა რეკომენდაცია შეასრულა, სასამართლო სისტემაში ყველაფერი რიგზე აქვს, არადა, დასანქცირებული მოსამართლეები ჰყავთ. ასეთი უარყოფითი შეფასებების შემდეგ რა მოლოდინი გაქვთ? გვექნება სტატუსი?*

— მე მაქვს მოლოდინი, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ ამჯერად არ დაგვტოვებენ რუსეთის გავლენის სფეროში და რაღაცნაირად გაგვიწევენ შეღავათს, ჩვენი წარსული მოღვაწეობიდან გამომდინარე და იმ ინტერესებიდან გამომდინარე, რომელ[illegible] ამ ქვეყნის მოსახლეობას დასავლეთის მიმართ აქვს. ამიტომ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

*— ხელისუფლებას სერიოზული შიში აქვს რევოლუციისო. არის ახლა ოპოზიცია იმ ფორმაში, რომ „ოცნებას" რევოლუცია მოუწყოს?*

— სანამ ოპოზიცია ცდილობს, ან ეცდება, რომ ხელისუფლებას რევოლუცია მოუწყოს, ეს არასოდეს არ გამოვა. რევოლუციის მომწყობი არის ქართველი ხალხი და არა ოპოზიცია[illegible] ეშინია „ქართულ ოცნებას" და ზუსტად ამიტომ სჭირდება ოპოზიციაში თავისი ხალხი, რომ საზოგადოებაში გამოიწვიოს იმედგაცრუება ასეთი ადამიანების მეშვეობით.

*— დღეს ჰყავს ასეთი ძლიერი დასაყრდენი ოპოზიციაში „ქართულ ოცნებას"?*

— რამდენად ძლიერია არ ვიცი, მაგრამ დასაყრდენი ნამდვილად ჰყავს. ჩვენ ამას პერმანენტულად ვხედავთ კიდეც.

# „ისრაელის ომის დაწყებაში რუსეთი მონაწილეობდა"

## ვახტანგ მაისაია: „ივლისში „ჰესბოლას," „ჰამასის", ისლამური ჯიჰადისა და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები ბეირუთში ირანის სპეცსამსახურების წარმომადგენლებს შეხვდნენ და ოპერაცია დაგეგმეს"

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის" კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

*— ბატონო ვახტანგ, მსოფლიოში გაჩნდა მეორე ცხელი წერტილი და, მგონი, უფრო რთული პრობლემა, ვიდრე რუსეთ-უკრაინის ომია. მოგეხსენებათ, 7 ოქტომბერს ისრაელს მოულოდნელად თავს დაესხნენ და საშინელი სისხლისმღვრელი ომია გაჩაღებული. მსგავსი, მგონი, უახლეს ისტორიაში არ ყოფილა. როგორია თქვენი შეფასება? რეალურად, რა ხდება?*

— ეს არის კლასიკური ჰიბრიდული ომი. ისრაელზე თავდასხმა განახორციელა ჯიჰადისტურმა ტერორისტულმა ორგანიზაცია „ჰამასმა" და ისლამურმა ჯიჰადმა. ეს ერთგვარი ტერორისტული ორგანიზაციების ალიანსია.

*— ისლამური ჯიჰადი ე.წ. „ისლამურ სახალიფოსთანაა" დაკავშირებული?*

— არა. ე.წ. „ისლამური სახალიფო" არაფერ შუაშია. ორი განსხვავებული სტრუქტურაა. „ისლამური ჯიჰადი" პალესტინური ორგანიზაციაა. ისრაელს „ისლამური ჯიჰადი" და „ჰამასი" თავს დაესხნენ. ისრაელისთვის თავდასხმა მოულოდნელი ქმედება იყო.

სავარაუდოდ, ამ ტერორისტული ორგანიზაციების ალიანსში ჩართული იყო „ჰესბოლა". ინფორმაცია იყო, რომ ჯერ კიდევ ამა წლის ივლისში „ჰესბოლას," „ჰამასის", ისლამური ჯიჰადისა და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები ბეირუთში ირანის სპეცსამსახურების წარმომადგენლებს შეხვდნენ და, შესაბამისად, ეს ოპერაცია დაგეგმეს.

*— ირანის სპეცსამსახურები ახსენეთ, ანუ ირანის მონაწილეობა აშკარაა?*

— აღნიშნულ თავდასხმაში ირანელების ხელი აშკარად შეინიშნება, რადგან თავდასხმა შესაბამისად იყო განხორციელებული. ასევე ირანმა პალესტინას მხარი დაუჭირა. მართალია ფორმალურად განზე გადგა და თქვა, რომ აქ ირანი არაფერ შუაშია, მაგრამ აშკარაა, ისრაელზე თავდასხმა ირანის, რუსეთის ფედერაციისა და სირიის სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი ოპერაციის შედეგად განხორციელდა, ეს ჰიბრიდული ომია.

*— რუსეთის მონაწილეობაც გამორიცხული არ არის, ხომ?*

— რუსეთის მონაწილეობა არა თუ გამორიცხულია, არამედ ჩემი გონივრული ეჭვის საფუძველზე დადასტურებულიც არის. ჩემთვის პირადად დადასტურებულია, რომ ისრაელის წინააღმდეგ მიმართული ჰიბრიდული ომის დაწყებაში რუსეთი მონაწილეობდა.

*— კერძოდ?*

— რუსეთი ისრაელის წინააღმდეგ მოწყობილ კიბერშეტევაში მონაწილეობდა. რუსული კერძო კიბერკომპანია ებრაულ საიტებს თავს დაესხა, საინტერესო ისაა, რომ ჩეჩნეთის პრეზიდენტმა, რამზან კადიროვმა ოფიციალურად მხარი პალესტინას დაუჭირა.

ამდენად, რუსეთმა მხარი პალესტინას და ტერორისტულ ორგანიზაცია „ჰამასს" დაუჭირა. ფაქტი სახეზეა. ამას პლუს „ჰამასის" მებრძოლები რუსეთის ახალ ავტომატ „აკ-103-ს" ატარებდნენ, რომელიც ახალი ტიპის კალაშნიკოვის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღია და რუსეთის რეგულარულ ჯარებში ძალიან დიდი სიახლეა.

სხვა ელემენტებითაც იგრძნობა იმის დასადასტურებლად, რომ რუსეთი, სირია და ირანი ჩართული იყვნენ. კლასიკური ჰიბრიდული ომია, რადგან ეს ქვეყნები მონაწილეობდნენ. მათ მიიღეს გადაწყვეტილება და, ფაქტობრივად, წინ გამოუშვეს ტერორისტული ჯგუფები, რომლებმაც შეტევა განახორციელეს.

ტერორისტები კარგად არიან მომზადებული. მათი მომზადება და აღჭურვა განხორციელდა არა ღაზის სექტორში, არამედ მის



ფარგლებს გარეთ. შესაბამისად, მათი მხრიდან კარგად დაგეგმილი და განხორციელებული ქმედება იყო.

ვითარება ასეთია: ისრაელი ამ შეტევას არ მოელოდა. ახლა კი აამოქმედა მე-40 ალეთი, ანუ თავდაცვის შესახებ კანონის მე-40 მუხლი. ამ მუხლის ყველა პუნქტი ამოქმედებულია. ფაქტობრივად, ისრაელმა პალესტინის ავტონომიას და მის ჯიჰადისტურ გაერთიანებას ომი გამოუცხადა.

ისრაელი სრულ სამხედრო-საომარ რელსებზეა გადაყვანილი. თუმცა, ახლა ისრაელი ერთგვარი დაბომბვების ქვეშაა მოყოლილი. მხოლოდ „ჰამასის" მხრიდან 7 ათასი ყუმბარა და ნაღმი ისროლეს. ამას „ჰესბოლას" დაბომბვებიც დაემატა, ანუ ტერორისტული ორგანიზაციების სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი ისრაელს თავს დაესხა.

*— ისრაელი რატომ არ მოელოდა თავდასხმას? როგორ გამოეპარა ასეთი თავდასხმის მზადება?*

— ბევრი მიზეზია. ჯერ ერთი, იმიტომ გამოეპარა, რომ ეს იყო კარგად დაგეგმილი სპეციალური სამხედრო ოპერაცია, რომელიც განახორციელეს სამი ქვეყნის სპეცსამსახურებმა. ასეთ მაღალ დონეზე სამხედრო ოპერაციის დაგეგმვა მათ იციან. მათ მაღალი დონის სიფრთხილის ზომები მიიღეს.

ისრაელი ტერორისტულ ორგანიზაციებს ებრძოდა და აღმოჩნდა, რომ ამ ტერორისტული ორგანიზაციების უკან კონკრეტული ქვეყნების ალიანსი დგას.

ჯერ კიდევ 2015 წელს შეიქმნა რეგიონული სამხედრო ბლოკი, რომელშიც გაერთიანდა ერაყი, სირია, ირანი, რუსეთი და ნაწილობრივ ლიბანი „ჰესბოლას" სახით. ასეთი ხუთმხრივი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი შეიქმნა, რომელიც ფორმალურად თითქოს „ისლამური სახალიფოს" წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ როდესაც „ისლამური სახალიფო" განადგურდა, ამ ბლოკმა თავისი არსებობა შეინარჩუნა.

ამდენად, მაღალი ალბათობით, ყველაფერი ამ ბლოკის ფარგლებში კოორდინირდებოდა. „ჰესბოლას" მხარი დაუჭირა სირიამ, ირანმა და რუსეთმა. კიდევ ერთი ნიუანსია – ფაქტობრივად, „ჰესბოლა" ბრძოლაში უკვე ჩაერთო. „ჰესბოლა" ლიბანს წარმოადგენს, ლიბანის მმართველი პოლიტიკური ძალაა, ასე რომ, ამ ომში ლიბანიც ჩართულია.

*— ანუ ისრაელი ახლა მტრული ქვეყნების ცეცხლის რკალშია მოქცეული.*

— ნამდვილად ასეა, მაგრამ ისრაელი ამას კარგად დაუდგა. ამერიკამ სამხედრო დახმარების აღმოჩენა უკვე დაიწყო. ევროპაც ეხმარება. ფაქტობრივად, მთელი საერთაშორისო საზოგადოება ისრაელის მხარესაა, რადგან საშინელი თავდასხმის ფაქტია.

*— რუსეთის ინტერესი გასაგებია, უკრაინის ფრონტზე რუსების ბრძოლა არც ისე წარმატებული აღმოჩნდა. რა გავლენას მოახდენს რუსეთ-უკრაინის ომზე ახლო აღმოსავლეთში აღმოცენებული ეს საშინელი კონფლიქტი?*

— ეს კონფლიქტი რუსეთ-უკრაინის ომზე, გარკვეულწილად, გავლენას მოახდენს. ალბათ, რუსეთის მონაწილეობა ამაზეც არის გათვლილი. რუსეთს იდეა ჰქონდა, რომ უკრაინის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოცნება“ ყველაზე კარგად თავს ნაციონალებთან გრძნობს!

## ლევან ალაფიშვილი: „ნაციონალურ მოძრაობაში ამომრჩეველი იგნორირებულია“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ლევან, ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე პროცესებს როგორ აფასებთ? არჩილ თალაკვაძე ამბობს, რომ კვიპროსში კეზერაშვილ-მერაბიშვილის მიერ პარტიის გადაფორმების პროცესი მიდის.***

– დღეს ნაციონალურ მოძრაობაში მიმდინარე ეს პროცესი არის დასტური, თუ როგორ უჭირს საქართველოში პარტიულ სისტემას. ჩვენი პარტიული სისტემა არათუ დემოკრატიულია, ახლოსაც არ არის დემოკრატიასთან.

პარტიაში გაუმჭვირვალედ მიმდინარე პროცესები, სუბიექტების მიერ საკუთარი ნება-სურვილისა თუ შეხედულებისამებრ მიღებული გადაწყვეტილებები, კარგს არაფერს მოუტანს არც ერთ პარტიას. ეს იქნება მსხვილი ოპოზიციური თუ სახელისუფლო პარტია.

მთელს ამ პროცესში, რასაც ახლა ვუყურებთ, ნაციონალურ მოძრაობაში ამომრჩეველი, როგორც ასეთი, იგნორირებულია. საქართველოში ამომრჩეველი მხოლოდ არჩევნების წინა დღეს ახსენდებათ პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ პარტიებს. ამიტომაც ვართ იქ, სადაც ვართ. მერე ამ პოლიტიკოსებსა და ამ პარტიებს, როდესაც ხელისუფლებაში მოვლენ, ქვეყნის დემოკრატიული სისტემით მართვა, ცხადია, არ შეუძლიათ, რადგან ამას პარტიაში არ არიან მიჩვეულები.

რუსეთშიც, ბელორუსიაშიც არსებობენ პარტიები, მაგრამ დემოკრატია არსებობს?! ამიტომ, პარტიების 235-ს თუ რამდენიც არის, არსებობა, არაფერზე არ მიანიშნებს. წარმომადგენლობითი დემოკრატია სულ სხვა რამ არის და ის პარტიის საწყისებიდან უნდა მოდიოდეს.

***– ნაციონალურ მოძრაობას რომ დავუბრუნდეთ, რასაც ვხედავთ, სადავეების ხელში აღებისა და მმართველობის ჩანაცვლების პოლიტიკაა?***

– დიახ, ბუნებრივია, ამას ვუყურებთ. ეს არის კულუარებში ბრძოლები, ხალიჩის ქვემოთ ომები. ეს ყველაფერი ხდება გაუმჭვირვალედ. რა უშლით ხელს ან კეზერაშვილს, ან მერაბიშვილს, რომ საჯაროდ თქვან თავიანთი მიზნები, თავიანთი იდეები და ღიად შესთავაზონ ამომრჩეველს, იქნება ძალიან დიდი მხარდაჭერაც მოიპოვონ.

***– ამ ფონზე, 2024 წელს ნაციონალური მოძრაობა შეიძლება ისევ მთავარი ოპოზიციური ძალა იყოს?***

– მიჭირს ამაზე საუბარი, მაგრამ „ქართული ოცნება“ ეცდება, ძალიან იზრუნებს, რომ მთავარი ოპონენტი, მთავარი ოპოზიციური ძალა, ისევ ნაციონალური მოძრაობა იყოს.

***– რადგან სჭირდებათ?***

– დიახ. თეთრისა და შავის კომბინაცია ისევ რომ გაათამაშოს. ცუდსა და უარესს შორის არჩევანზე რომ გააკეთოს აქცენტი. თქვას, მე არ ვარ კარგი, მაგრამ ისინი ჩემზე უარესები არიან.

***– რასაც აქამდე აკეთებდა და რითაც იგებდა არჩევნებს.***

– დიახ. ეს ისეთი პოლიტიკაა, რომელზე უარის თქმა გაუჭირდება „ქართულ ოცნებას“.

***– რამდენად იმუშავებს?***

– რამდენად იმუშავებს, ეს ძალიან საინტერესოა, მაგრამ თუ ასე გაგრძელდება, ყველაფერი და არაფერი არ შეიცვლება, მაშინ იმუშავებს. მმართველი ძალა ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს ნაციონალების ოპონირების ქვეშ. მეტიც, შეეცდება წინასაარჩევნოდ, მთელი ოპოზიციური ფლანგი სწორედ ნაციონალური მოძრაობის ქვაბში მოხარშოს და ყველა ამ ორბიტაზე გადაიყვანოს.

***– გამოდის, რომ მით უფრო ამ ფონზე, მნიშვნელოვანია ე.წ. მესამე ძალის ფორმირება, რომელსაც არც ერთთან და არც მეორესთან არ ექნება არაფერი საერთო.***

– დიახ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ძალიან მეეჭვება, რომ არჩევნებამდე დარჩენილ ამ დარჩენილ მცირე დროში ბუნებრივად მოხდეს ახალი პოლიტიკური ძალის გაჩენა, თან, რომელსაც არაფერი საერთო არ ექნება არც ერთ ძალასთან.

***– თუმცა, ამომრჩევლის დაახლოებით 60 პროცენტი ამის მოლოდინშია.***

– დიახ, მიუხედავად ელექტორატის ამ



მაღალი მაჩვენებლისა, ძალიან რთულია ახალი იდეოლოგიის, ფინანსების, მთელი პარტიული სტრუქტურის უცებ აწყობა. მე უფრო მგონია, რომ ამომრჩევლის ამ ნაწილის სახლიდან გამოსაყვანად მმართველი ძალაც და ოპოზიციაც ეცდება, ხელოვნურად შექმნას ილუზია, თითქოს ახალი ძალა, ახალი პარტია გაჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე. წინასაარჩევნოდ სატელიტი პარტიების გამოჩეკის ტრადიცია საქართველოში არახალია. შევარდნაძის ეპოქიდან მოყოლებული, ამის მეტი რა გვინახავს. ახლაც არ გამოვრიცხავ, რომ უცებ ასეთი პარტიები გამოჩნდნენ ერთ ან მეორე ფლანგზე. მერე უკვე საჭიროებისამებრ მოხდება მათი გამოყენებაც.

***– თუ საჭირო გახდა, კოალიციასაც შეკრავენ?***

– რა თქმა უნდა! ასეთ დროს სატელიტ პარტიასთან კოალიცია ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება.

*სამართალი*

# მოსწავლის სექსუალურ შევიწროებაზე სკოლა სამართალდამრღვევად ცნეს

– მოსწავლის სექსუალურ შევიწროებაზე ერთ-ერთი საჯარო სკოლა სამართალდამრღვევად ცნეს, – ამის შესახებ ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR) იტყობინება.

შემთხვევა 2021 წელს მოხდა. არასრულწლოვანის მშობელმა კი სკოლას ამის შესახებ ამავე წლის აპრილში შეატყობინა. PHR წერს, რომ თავდაპირველად ადმინისტრაცია შეეცადა, მშობელი დაერწმუნებინა, რომ მასწავლებლის ქცევა, მისი ხასიათიდან გამომდინარეობდა და „არ უნდა ენერვიულა“. ამასთან, დირექტორი ცდილობდა, რომ ზეგავლენა მოეხდინა მშობელზე და დაერწმუნებინა, მასწავლებლის მიმართ საჩივარი არ შეეტანა.

ლიკა (სახელი შეცვლილია) ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლეა. იგი 2021-2023 წლებში, მასწავლებლის მხრიდან იყო სექსუალური შევიწროების მსხვერპლი.

შევიწროება გამოიხატებოდა შემდეგ ქმედებებში: გაკვეთილების დროს მხრებზე უკეთებდა მასაჟებს; სკოლის საერთო სივრცეში თითქმის ყველა შეხვედრის დროს, ეხუტებოდა მჭიდროდ; თითქმის ყველა შეხვედრის დროს, წელზე ხვევდა ხელს; თითქმის ყველა გაკვეთილზე, ეფერებოდა თავზე; თითქმის ყველა გაკვეთილზე, ეხებოდა მხრებზე; ეხებოდა ზურგზე და წრიულად უსვამდა ხელს თითქმის ყველა გაკვეთილზე; თითქმის ყველა გაკვეთილზე, სხეულით უახლოვდებოდა ზედმეტად ახლო მანძილზე.

### სკოლის რეაგირება

– არასრულწლოვნის მშობელმა ამა წლის აპრილში, სკოლას შეატყობინა მასწავლებლის მხრიდან სექსუალური შევიწროების შესახებ. თავდაპირველად, სკოლის ადმინისტრაცია შეეცადა მშობელი დაერწმუნებინა, რომ მასწავლებლის ქცევა, მისი ხასიათიდან გამომდინარეობდა და მას არ უნდა ენერვიულა. ამასთან, დირექტორი ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა მშობელზე და დაერწმუნებინა იგი, რომ არ დაეფიქსირებინა საჩივარი მასწავლებლის მიმართ. დირექტორმა მშობელს კითხვაც დაუსვა, რატომ გამორიცხავდა, რომ შევიწროების შესახებ ნაამბობი ბავშვის ფანტაზიის ნაყოფი იყო.



დირექტორის ზეწოლის მიუხედავად, დედამ წერილობით მიმართა სკოლას და მოითხოვა რეაგირება მასწავლებლის მხრიდან სექსუალური შევიწროების ფაქტზე.

სკოლის დისციპლინურმა კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლე, შესაბამისი კომპეტენციის გარეშე და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აწარმოა სექსუალური შევიწროვების გამოკვლევის საქმე და დაუშვა არაერთი შეცდომა. შედეგად, სკოლის დისციპლინურმა კომიტეტმა დაადგინა მასწავლებლის მხრიდან მხოლოდ ეთიკის წესების დარღვევა და მას გაფრთხილება გამოუცხადა.

სკოლის არაეფექტური რეაგირების გამო, 2023 წლის 17 აგვისტოს PHR-მა ბავშვის უფლებების დასაცავად სასამართლოს მიმართა, – წერია განცხადებაში.

PHR-ის ცნობით, სასამართლოში მტკიცებულებების წარდგენის მიზნით, მშობელმა მოითხოვა დისციპლინური კომიტეტის სხდომის აუდიო ოქმები. თუმცა, მოწმეების პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოტივით, სკოლამ მას აუდიო ოქმები არ გადასცა.

PHR-მა ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დარღვევის ფაქტზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს (შემდეგში სამსახური) მიმართა. ადვოკატები მიიჩნევდნენ, რომ სკოლამ ბავშვისთვის აუდიო ფაილების არგადაცემით დაარღვია მისი უფლება, გაეცნოს მის შესახებ ინფორმაციას. ამასთან დაარღვია მისი საპროცესო უფლებები, რაც ხელს უშლის სასამართლოსთვის მიმართვასა და საკუთარი უფლებების დაცვას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა მიიჩნია, რომ სხვა პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზანი ვერ გაამართლებს განმცხადებლისთვის მისი პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის გადაცემაზე უარის თქმას. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სამართლიანი ბალანსის დაცვა განმცხადებლისა და მესამე პირების ინტერესებს შორის.

შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ამა წლის 15 აგვისტოს მიიჩნია, რომ სკოლამ დაარღვია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები, სკოლა მიიჩნია სამართალდამრღვევად.

– აღნიშნული გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, რათა მოსწავლეებს სამომავლოდ არ შეეზღუდოთ წვდომა დისციპლინური წარმოების მასალებზე, – ნათქვამია განცხადებაში.

# კავთისხევში სასულიერო პირს 3 ველოსიპედი მოპარეს




კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კავთისხევში სასულიერო პირის 3 ველოსიპედი მოიპარეს, – ინფორმაციას რეგიონული გამოცემა Qartli.ge ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, შემთხვევა გუშინ მოხდა. სასულიერო პირის საცხოვრებელი ეზოდან დაიკარგა დიდი ზომის – შავი, მწვანე და ყვითელზოლებიანი ველოსიპედები.

სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

# დუშეთის ტყეში კაცის ცხედარი იპოვეს

დუშეთის მუნიციპალიტეტში, ტყეში, 70 წლამდე მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

გამოძიება სსკ-ის 143-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს. კაცი დაკარგული იყო და რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდნენ.




# პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანს შეხვდა.



პირისპირ შეხვედრაზე, რომელიც საქართველოში ვიქტორ ორბანის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გაიმართა, განიხილეს საქართველოსა და უნგრეთს შორის არსებული მჭიდრო პარტნიორობა. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ერთობლივი ძალისხმევით ქვეყნებს შორის თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდა, რაც ვიზიტების რეგულარულ გაცვლას და დარგობრივი კავშირების გაფართოებას მოიცავს.

მხარეებმა განიხილეს სხვადასხვა სფეროში არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები. პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველოში მთავრობათაშორისი სამიტის გამართვა ბუდაპეშტში საქართველოსა და უნგრეთს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელმოწერილი დეკლარაციის პრაქტიკაში განხორციელების ნაწილია.

ევროინტეგრაციაზე საუბრისას ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველო შეუქცევადად მიჰყვება ევროპულ გზას. მან ამ გზაზე საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები მიმოიხილა. პრემიერ-მინისტრის თქმით, მთავრობამ უზრუნველყო 12 პრიორიტეტის შესრულების ღია, გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესი, ხოლო წლის ბოლოს ქვეყანა ევროკავშირისგან სამართლიანი და დამსახურებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების მოლოდინშია. პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანს ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის მტკიცე მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველო აფასებს ამ გზაზე მეგობარი უნგრეთის ურყევ მხარდაჭერას.

მხარეებმა ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მიმართულებით მიღწეული პროგრესი შეაჯამეს. აღნიშნა, რომ 2023 წელს 21%-ით არის გაზრდილი სავაჭრო ბრუნვა და 46,62 მლნ დოლარს შეადგენს. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველოსა და უნგრეთს ეკონომიკური თანამშრომლობის დიდი პოტენციალი აქვთ და მნიშვნელოვანია, არსებული შესაძლებლობები სრულად იქნეს გამოყენებული. მისივე თქმით, საქართველო დაინტერესებულია ინვესტიციების მოზიდვით ისეთ სექტორებში, როგორიცაა განახლებადი ენერგია, ლოჯისტიკა, ტურიზმი და სხვა სფეროები.

ირაკლი ღარიბაშვილმა და ვიქტორ ორბანმა კავკასიის რეგიონისა და ევროპის დამაკავშირებელი შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელის პროექტის მიმდინარეობის დინამიკაზე იმსჯელეს. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს მიერ ინიცირებული ფლაგმანური პროექტების განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ენერგეტიკის სრული პოტენციალის რეალიზაციისთვის და ენერგოუსაფრთხოების მიმართულებით საერთო მიზნების მიღწევაში.

საქართველოს ოფიციალური ვიზიტით უნგრეთის პრემიერ-მინისტრი – ვიქტორ ორბანი 10 ოქტომბერს ეწვია. უნგრეთის პრემიერი თბილისში მეუღლესთან – ანიკო ლევაისა და დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა.

# შესაძლებელია თუ არა უკრაინის შეტევა ოჩამჩირეში ბაზის გამო?

## კიდევ რას გეგმავს ოკუპანტი რუსეთი ოკუპირებულ აფხაზეთში?

მარიამ მჭედლიშვილი



ოკუპირებული აფხაზეთის ქალაქ ოჩამჩირეში რუსული სამხედრო საზღვაო ბაზის შექმნას აღშფოთებით ხვდება დანარჩენი საქართველოს მოსახლეობა, ასევე მსოფლიო თანამეგობრობა. მათ შორის, ნატოს საპარლამენტო ასამბლეა.

ასამბლეამ თავის რეზოლუციაში დაგმო რუსეთის მიერ დეკლარირებული მისწრაფება, ააშენოს სამხედრო ბაზა ოჩამჩირეში, რომელიც მდებარეობს რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ტერიტორიაზე.

ცნობილია, რომ საპარლამენტო უმრავლესობა შეეწინააღმდეგა ამ საკითხზე რეზოლუციის მიღებას და ამ თემაზე ხმას არ იღებს. რეზოლუციის პროექტი დეპუტატმა თეონა აქუბარდიამ, ასევე მისმა კოლეგებმა პარტიიდან „საქართველოსთვის" შეიმუშავეს.

პროექტში ნათქვამია, რომ ეს ემუქრება საქართველოს უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, ასევე – რეგიონულ უსაფრთხოებას.

დაახლოებით ამ შინაარსის განცხადება გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა.

### კიდევ რას აპირებს ოკუპანტი აფხაზეთში?

რუსეთის ამ განზრახვას მშვიდად ხვდება აფხაზეთის საზოგადოება, რომელიც შეგუებულია იმას, რომ აფხაზეთში უნდა იყოს რუსეთის სამხედრო ბაზები. აფხაზები ტრადიციულად აპროტესტებენ აფხაზეთის მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის უძრავი ქონების მიყიდვის, ასევე, რუსეთისთვის რომელიმე ობიექტის გადაცემის შესაძლებლობას. ამის გამო, მაგალითად, ბიჭვინთის ე. წ. სახელმწიფო აგარაკი დღემდე არ გადაუციათ რუსეთის ხელისუფლებისთვის. შესაბამისი ე. წ. შეთანხმება გაფორმდა, აფხაზეთის პარლამენტს კი მისი რატიფიცირება არ მოუხდენია.

როგორც ჩანს, აფხაზეთის საზოგადოებას ეკონომიკურ თემებზე ღელვა ისევ მოუწევს. აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერმა ასლან ბჟანიამ გამოაცხადა, რომ ხელს აწერს შეთანხმებას რესპუბლიკაში რუსეთის იურიდიული პირების საინვესტიციო საქმიანობის შესახებ. ბჟანიას ინფორმაციით, რუს ინვესტორებს აფხაზეთში „არსებითი პრეფერენციები" ექნებათ. ამ მიზნით დაგეგმილია კანონმდებლობის შეცვლა.

ბოლო დროს გახშირდა საუბრები ოკუპირებული აფხაზეთის შესვლაზე რუსეთ-ბელარუსის სამოკავშირეო სახელმწიფოში.

ეს თემა ადრეც წამოსწიეს აფხაზეთის საოკუპაციო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, მაგრამ ამას შემდგომი განვითარება არ მოჰყოლია. აფხაზეთის საზოგადოებას ეს იდეაც არ მოეწონა, ვინაიდან მათთვის ეს არსებული ილუზორული „დამოუკიდებლობის" დაკარგვასაც ნიშნავს. გარდა ამისა, ითვლება, რომ აფხაზეთის ამ კავშირში შესასვლელად აუცილებელია, რომ აფხაზეთის ე. წ. „დამოუკიდებლობა" რუსეთის მსგავსად, ბელარუსმაც აღიაროს. მიმდინარე წლის იანვარში ლუკაშენკომ ეს არ გამორიცხა.

### რა განზრახვა აქვს ოკუპანტს ოჩამჩირეში?

რუსეთი ცდილობს დაიბრუნოს პოზიციები შავ ზღვაზე, რომლის გარკვეულ აკვატორიაში რუსეთის ფლოტი უკრაინელებმა საგრძნობლად შეავიწროვეს.

რუსი ექსპერტი სერგეი გორბაჩოვი აცხადებს, რომ ოჩამჩირის უბეში რუსეთი შედარებით პატარა გემებს განათავსებს.

– ოჩამჩირის უბეში მსხვილი ძალების განლაგება ნაკლებად მოსალოდნელია. საბჭოთა დროს ოჩამჩირეში მდებარეობდა საზღვრო ჯარების საზღვაო ნაწილების რაზმი. მათი პასუხისმგებლობის ზონა ვრცელდებოდა თურქეთამდე და ნოვოროსიისკამდე. ასეთივე ძალები იდგა იალტასა და ოდესაში. მათი გემები შედარებით მცირეა და ისინი უზრუნველყოფენ საზღვაო საზღვრების ხელშეუხებლობას. ოჩამჩირეში შეიძლება იყოს ბაზირების პუნქტი, რომელიც არსებით როლს ვერ შეასრულებს, – აცხადებს ის.

რუსი ექსპერტის თქმით, ფლოტის დისლოკაციის შეცვლა ამჟამად არ ხდება:

– ბევრს ლაპარაკობენ ფლოტის დისლოკაციის შეცვლაზე. ეს არის დილეტანტური მსჯელობა. სამხედრო საზღვაო ფლოტი ჩართულია საბრძოლო მოქმედებებში, ამიტომ საუბარი შეიძლება იყოს არა დისლოკაციის შეცვლაზე, არამედ, დაშორიშორებაზე ან თავმოყრაზე.

რუსი მკვლევარი ალექსანდრ ბურენკოვი მიესალმება ოჩამჩირესთან დაკავშირებულ გეგმებს და მიიჩნევს, რომ ოკუპანტი ამით „მგელს" დააშინებს. შესაძლოა, „მგელში" ის მარტო საქართველოს არ გულისხმობდეს.

ბურენკოვის აგრესიულ-იმპერიალისტური რიტორიკა ამით არ კმაყოფილდება. ის აფხაზეთის რუსეთ-ბელარუსის კავშირში მიღებაზე ლაპარაკობს და თურქეთსაც უპირისპირდება:

– საჭიროა „მგლის" მოქცევა ისეთ ჩარჩოებში, რომ მარტო სხვისი რამის შეთვალიერებას კი არ დაანებოს თავი, არამედ, მუდმივად საკუთარ ტყავსაც უფრთხილდებოდეს. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი შეიძლება გამხდარიყო სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიღების ინიცირება თუ რუსეთის შემადგენლობაში არა, სამოკავშირეო სახელმწიფოში მაინც. შეუძლებელია, ოსებს და აფხაზებს არ ესმოდეთ, რომ სომხეთის შეჭმისა და საქართველოს „აშენების" შემდეგ თურქეთი მათ მიადგება.

### მოსალოდნელია თუ არა შეტევა აფხაზეთისკენ უკრაინიდან?

შეუტევს თუ არა უკრაინა აგრესორი რუსეთის გემებს ოჩამჩირეში? ცხადია, რომ ამაზე უკრაინაში ღია მსჯელობა ვერ გაიმართება. გამოკითხული ექსპერტების მოსაზრებები ერთმანეთისგან განსხვავებულია.

უკრაინის პრეზიდენტის მუდმივი წარმომადგენელი ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბორის ბაბინი აცხადებს:

– ეს ტერიტორია (აფხაზეთი) ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ნებისმიერი იერიში რუსეთის კონტროლის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მართლზომიერია. ეს არ იქნება აგრესიის აქტი საქართველოს წინააღმდეგ, ვინაიდან საქართველო ხსენებულ ტერიტორიას ვერ აკონტროლებს. უკრაინის მხრიდან ჰიპოთეტური შეტევით საერთაშორისო სამართალი არ ირღვევა. სამწუხაროდ, საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას შეუძლია ეს პროვოკაციად შეაფასოს და გამოიყენოს.

**საკითხს უფრო ფრთხილად უდგება უკრაინელი პოლიტოლოგი ვიქტორ კასპრუკი:**

– ფორმალურად ეს საქართველოს ტერიტორიაა და საქართველოს ხელისუფლებას (აფხაზეთის მიმართულებით იერიშის შემთხვევაში) შეუძლია ჩვენ მიმართ პრეტენზიები ჰქონდეს, რომ დარტყმებს ვაყენებთ მათ ტერიტორიას. უკრაინა დააკვირდება მოვლენებს და შეიძლება მიღებულ იქნას გადაწყვეტილებები, რომლებზეც დღეს ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ ილაპარაკებს. ასეთი სერიოზული საკითხები ჩვენს პარტნიორებთან თანხმდება. გაიმართება კონსულტაციები. ამ გადაწყვეტილების მიღებისას რუსები, ალბათ, ითვალისწინებდნენ ამ სამართლებრივ კოლიზიებს, რომლებიც დაამუხრუჭებენ უკრაინის საპასუხო დარტყმებს ან შეუძლებელს გახდიან ამ დარტყმების განხორციელებას.

სამართალი

## ქორწინების იძულებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის, 14 წლის გოგოს დედას პროკურატურამ ბრალდება წარუდგინა



პროკურატურამ 14 წლის გოგონას განზრახ მკვლელობის საქმეზე, ქორწინების იძულების და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე, მოკლულის დედას და ბიძას ბრალდება წარუდგინა.

ბიძა დაკავებულია, ხოლო მოკლულის დედის დაკავების მოთხოვნის შუამდგომლობა რუსთავის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2023 წლის ზაფხულში, არასრულწლოვანს ქორწინების იძულების მიზნით, გამტაცებელმა უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება და საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში მიიყვანა, სადაც დაზარალებულს შეზღუდული ჰქონდა თავისუფალი გადაადგილების უფლება. აღნიშნულის მიუხედავად, არასრულწლოვანმა მოახერხა გაპარვა, უცხო პირის მობილური ტელეფონით დედასთან დაკავშირება და მისი გატაცების თაობაზე შეტყობინება, რაც ასევე ცნობილი გახდა გატაცებული არასრულწლოვნის ბიძისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვნის დედისა და ბიძისთვის ცნობილი გახდა 14 წლის გოგონას მიმართ ჩადენილი მძიმე კატეგორიის დანაშაულის შესახებ, მათ მიაჩნდათ, რომ არასრულწლოვანს არ ჰქონდა თავისუფალი ნების გამოვლენის და არჩევანის გაკეთების უფლება, აღნიშნული არ შეატყობინეს სამართალდამცავ ორგანოებს და ბავშვს გამტაცებელთან თანაცხოვრება აიძულეს.

სამართალდამცველებმა დაზარალებულის ბიძა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 11 ოქტომბერს დააკავეს. რაც შეეხება მოკლული გოგონას დედას, მის მიმართ პროკურატურამ სასამართლოს ასევე დაკავების თაობაზე შუამდგომლობით მიმართა, რაც რუსთავის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

პროკურატურამ დანაშაულის ჩამდენ ორივე პირს ბრალდება წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ქორწინების იძულების და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე წარუდგინა.

პროკურატურა ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 14 წლის არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობაში ბრალდებული დაკავებულია. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ე" „თ" და „კ" ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ, ჩადენილი გენდერის ნიშნით), 236-ე მუხლის მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება) და 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ" ქვეპუნქტით (თავისუფლების უკანონო აღკვეთა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ბრალდებულს აღკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება როგორც ბრალდებულისთვის სავარაუდო სექსუალური ხასიათის დანაშაულებრივი ქმედების ბრალად შერაცხვის, ასევე დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი შესაძლო სხვა პირების გამოვლენის და მხილების მიზნით.

საქართველოს პროკურატურა მსგავსი კატეგორიის საქმეებზე უმკაცრეს სისხლის სამართლის პოლიტიკას ახორციელებს. აღნიშნულ საქმეზე ბრალდებული ყველა პირი, ჩადენილი უმძიმესი დანაშაულისთვის კანონის სრული სიმკაცრით აგებს პასუხს, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

# „ისრაელის ომის დაწყებაში რუსეთი მონაწილეობდა"

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თემა საინფორმაციო ომიდან ამოსულიყო და გადაფარულიყო.

მეორე – რუსეთმა თავისი შეიარაღების ტესტირება მოახდინა. მან ასევე „ჰამასს" განახორციელებინა აკ-4-ის მწყობრიდან გამოყვანა, რომელიც ფაქტობრივად, ამერიკული „აბრამსის" საბაზო მოდელია. აკ-4-ის გამოყვანა რუსეთისთვის საინტერესო იყო, რომ „აბრამსების" გამოყვანის ფაქტორიც გაეთვალისწინებინა.



შესაბამისად, კიდევ ერთი მომენტია – რუსეთი ირანის წინაშე ვალდებულია. ირანი უკრაინის წინააღმდეგ ომში ეხმარება. ირანმაც რუსეთს სთხოვა დახმარება, ანუ ვალდებულებითი ელემენტებიც არ გამოირიცხება.

რუსეთმა პირველად გამოიყენა კერძო კიბერ კომპანია. ხომ არის კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერი", ახლა გაჩნდა კერძო კიბერ სამხედრო კომპანია. ასეთი კერძო კიბერ სამხედრო კომპანიების გაერთიანებაა „ქილნეთი".

***– რამდენად მართალია არ ვიცით, მაგრამ გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინის ხელისუფლებამ იმ ტერორისტულ ორგანიზაციებს იარაღი მიაწოდა, რომლებიც ისრაელს თავს დაესხნენ.***

– ეს არის ფსიქოლოგიური ომის სახე, რომელიც რუსეთმა გამოიყენა. ჰიბრიდული ომი ხუთი მიმართულებით ხორციელდება – სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და კიბერ ომის სახით. უკრაინის ხელისუფლების მიერ ტერორისტებისთვის იარაღის გადაცემის შესახებ ინფორმაციაც ფსიქოლოგიური ომის სახეა, რომელიც რუსებმა შეგნებულად შემოაგდეს.

***– როგორც ჩანს, ისრაელის წინააღმდეგ ძალიან დიდი ძალებია გაერთიანებული. ისრაელი ასეთ დიდ შეტევას გაუძლებს? ისე, ისრაელი იმუქრება და საპასუხო ოპერაცია „რკინის მახვილიც" დაიწყო.***

– ისრაელი მძიმე სიტუაციებს უძლებდა და, ალბათ, ამასაც გაუძლებს. თუმცა, ასეთ მძიმე სიტუაციაში ყოფნა პირველად მოუწია. ვფიქრობ, ისრაელი გაუძლებს და ტერორისტული გაერთიანებების ალიანსს სათანადო პასუხს გასცემს.

შიდა სახელისუფლებო კრიზისი ისრაელის მტრებმა გამოიყენეს. თავდასხმა ისეთ პერიოდში დაგეგმეს, როცა მოულოდნელი იყო.

***– ამერიკის უკრაინისთვის დახმარება შემცირდება ისრაელისთვის დახმარების გამო?***

– ამერიკის მხრიდან უკრაინისთვის ფინანსური დახმარების შემცირება იგეგმებოდა. ახლა ამერიკას ისრაელისთვის დახმარება მოუწია. 1952 წელს ისრაელსა და ამერიკას შორის დაიდო ურთიერთდახმარების სტრატეგიული ხელშეკრულება და ისრაელი ყოველწლიურად მილიარდი დოლარის სამხედრო დახმარებას იღებს. 1948 წლიდან ამერიკამ ისრაელს 125 მილიარდი დოლარი გამოუყო.

# ვინ აწერდა ხელს ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვას

ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, როდესაც 1955 წელს შექმნეს საქართველოს განთავისუფლებისთვის მებრძოლი ორგანიზაცია „გორგასლიანი". ამ ორგანიზაციას მომდევნო წლებში შეუერთდნენ ვლადიმერ სიხარულიძე, გურამ დოჩანაშვილი და გურამ სხირტლაძე. მათ გარდა, ორგანიზაციაში სხვა წევრებიც იყვნენ. „ახალმა თაობამ" მოიპოვა რევაზ კვერენჩხილაძის ინტერვიუ, რომელიც ისტორიას ჰყვება.

**რევაზ კვერენჩხილაძე:**

– ამ ბიჭების გარდა, ორგანიზაციაში ირიცხებოდა კიდევ ოთხი წევრი: თამაზ გუნჯუა (შემდგომში ექიმი), ჯონდო (თეიმურაზ) მეტრეველი (შემდეგში თსუ ქართული ლიტერატურის კათედრის დოცენტი, მთარგმნელი), ანატოლი მიქაძე და თემურ ცერცვაძე (შემდგომში ინჟინერი).

1956 წლის მარტის მღელვარე და ტრაგიკულ დღეებში ჯგუფი ავრცელებდა ანტისაბჭოთა პროკლამაციებს. პროკლამაციები დაახლოებით ასეთი შინაარსის იყო:

„ქართველებო! ხომ არ დაგავიწყდათ 9 მარტის სისხლიანი ღამე? ხომ არ დაგავიწყდათ სისხლიანი ოცდაოთხი და ოცდაჩვიდმეტი, ქართველი ხალხის დარბევის და გაჟლეტის წლები? როდემდე უნდა გვქონდეს ქედი მოხრილი მტარვალი კომუნისტების მახვილქვეშ?..

... დღეს, როდესაც მთელი კაცობრიობა აღშფოთებულია მოსკოვის საშინელი ბოროტმოქმედებით, ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება. დროა შევერთდეთ ერთი დროშის ქვეშ ჩვენი სამშობლოს დამპყრობლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ქართველებო! ბრძოლით უნდა მივაღწიოთ თავისუფლებას...

... ძირს ჩვენი ხალხის სისხლში ხელებგასვრილი ოკუპანტები და მათი სამხედრო ხროვა! ძირს მოღალატე ქართველი კომუნისტები! გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!"

ამ პროკლამაციის არსებობაზე ზოგიერთი ამბობდა, რომ ბლეფია, სუკ-ის არქივში არსებულ საქმეში პროკლამაციის არცერთი ეგზემპლარი არ არისო.

***– ამ ორგანიზაციის გარდა, კიდევ თუ იყო სხვა ორგანიზაცია?***

– დიახ. არსებობდა პატარ-პატარა ჯგუფები, რომლებიც მწვავედ აანალიზებდნენ მარტის მოვლენებს. მაგალითად: „განთავისუფლების კომიტეტის" წევრები: პ.მეუნარგია, მ.ყიფიანი, გ.ბარამიძე და ირ.ფაჩულია სცემდნენ პროკლამაციებს, ფიქრობდნენ ქვეყნის ბედზე. XX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოს ბედზე ფიქრი და ზრუნვა არ შეუწყვეტიათ.

***– როდის დააპატიმრეს „გორგასლიანის" წევრები?***

– 1956 წლის მიწურულს. მანამდე კი ჯგუფი მუხანათურად წამოაგეს ანკესზე. მისი წევრები ჩხუბში ჩაითრიეს. გ.დოჩანაშვილი დანით ისე მძიმედ დაჭრეს ზურგში, რომ ფილტვი დაუზიანდა. დიდხანს იწვა საავადმყოფოში.

9 დეკემბერს ჯგუფის წევრებს მეორეჯერ დაესხნენ თავს. 14 დეკემბერს XI კლასელები ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა დააპატიმრეს.



დაპატიმრებულები გამოძიებისას ოთხი თვე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შინაგან ციხეში ჰყავდათ. გაასამართლეს ანტისაბჭოთა აგიტაციის ბრალდებით, მიუსაჯეს 5-5 წელი, მაგრამ როგორც არასრულწლოვანებს, პირობითი სასჯელით შეუცვალეს. იმ ხანებში გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა წერილი „სარეველა", რომელშიც კონსტანტინე გამსახურდიას საყვედურობდნენ – უნიჭო, უქნარა და ხულიგანი შვილი გაგიზრდიაო.

გამსახურდია თხოვნით მივიდა უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე ინაურთან, მერე კი ვასილ მჟავანაძესთან, რომელმაც გამოუშვა პატიმრები.

***– ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა 1958 წელსაც ხომ დააპატიმრეს?***

– დიახ. ორივე 1958 წელს დააპატიმრეს „ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგობისათვის", ამჯერად მათ სამი თვე მოიხადეს სასჯელი და კვლავ პირობითად მიუსაჯეს 3-3 წელი. წლები გავიდა, გამსახურდიამ დაამთავრა თსუ. პარალელურად ბეჭდავდა წერილებს. დისიდენტურ მოძრაობაში გამოჩნდა ახალი სახეები. მათ შორის, ვიქტორ რცხილაძე.

1975 წელს ხელი მოაწერეს ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის აქტს. ამავე წელს ზვიად გამსახურდიამ, მერაბ კოსტავამ და ვიქტორ რცხილაძემ საქართველოში შექმნეს „ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი", გამოსცეს ჟურნალი „ოქროს საწმისი". რედაქტორი ამ ჟურნალისა გამსახურდია იყო, ხოლო ჟურნალის უშუალო გამოშვების სიმძიმე რცხილაძეს დააწვა კისერზე.

***– როდის გამოვიდა პირველი ნომერი?***

– მაისში. ჟურნალში დაბეჭდილი იყო ის საკითხები, რომელთაც ხელისუფლება ხალხს უმალავდა...

***– სულ რამდენი ნომერი გამოიცა?***

– ამ ჟურნალის სულ 4 ნომერი გამოვიდა. 1976 წელს მოსკოვსა და კიევში შეიქმნა ჰელსინკის ხელშეკრულებათა ხელშემწყობი ჯგუფები. საქართველოში „საინიციატივო ჯგუფი" აქციეს „ჰელსინკის შეთანხმებათა ხელშემწყობ ჯგუფად", რომელსაც შეუერთდნენ ბეგლარ (ბეგო) ბეჟუაშვილი და ირაკლი კენჭოშვილი (რომელიც მალე ჩამოშორდა ჯგუფს).

ჯგუფმა 25 ეგზემპლარად გაამრავლა ა.სოლჟენიცინის „არქიპელაგი გულაგი". გამოვიდა ჯგუფის საინფორმაციო ჟურნალი „საქართველოს მოამბე" (სულ 4 ნომერი 50-50 ცალად).

1977 წლის 7 აპრილს, ჟურნალის მეორე ნომრის გამოსვლის შემდეგ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა მესამედ დააპატიმრეს.

1977 წლის 1 აპრილს კომპარტიის ცკ-ის ზეწოლით ზვიად გამსახურდია საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მწერალთა კავშირიდან გარიცხა. მის გარიცხვაზე ხელს აწერდნენ: ნოდარ დუმბაძე, გიორგი ციციშვილი, იოსებ ნონეშვილი, მორის ფოცხიშვილი, გიორგი მერკვილაძე, გურამ ფანჯიკიძე, არჩილ სულაკაური, თამაზ ჭილაძე, გურამ ასათიანი, ფრიდონ ხალვაში და სხვები.

მალე, ზვიადსა და ზოგიერთ მის თანამებრძოლს შორის დაიწყო დაპირისპირება, რომლის გამწვავება-ჩახლართვაში თავისი წვლილი უშიშროებამაც შეიტანა.

გამსახურდიასა და კოსტავას საქმემ (№131), რომელსაც ერთ წელიწადს იძიებდნენ, 56 ტომი შეადგინა. საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ დახურულ სხდომაზე წამოაყენა ბრალდება, რომელიც ორიოდე სიტყვით ასე შეიძლება გამოიხატოს: „განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული" და ორივეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა სამ-სამი წლით (სასჯელის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით) და შემდგომ გადასახლება ორ-ორი წლით.

მათი დაკითხვა ტელევიზიით გადაიღეს, ფირის ნახევარი დამონტაჟებული იყო 1978 წლის 19 მაისს. ფირის მიხედვით, ზვიადმა პატიება ითხოვა (რომელიც შემდეგ უარყო), ის ყიზლარის საძოვრებზე სოფელ კოჩუბეიში გაგზავნეს.

***– ზვიად გამსახურდიას ამ „მონანიებას" დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა.***

– დიახ. ამ „მონანიებამ" ბევრი შეაცბუნა, გაჩნდა სხვადასხვა ეჭვი. 1978 წლის 24 მაისს „კომუნისტში" იბეჭდება მ.მიქაძის წერილი, სადაც წერილის ავტორი ხაზგასმით აცხადებს, ზვიადმა დანაშაული გულწრფელად მოინანიაო...

1979 წელს ზვიადის განთავისუფლებას მოჰყვა მითქმა-მოთქმა...

1987 წლიდან ეროვნული მოძრაობის დასაწყისიდან ბედმა ზვიადს არგუნა ლიდერის როლი. ისევ დაიწყო პრესაში ზვიადის ლანძღვა.

1989 წლის 9 აპრილს მომიტინგეთა დარბევიდან რამოდენიმე საათის შემდეგ ზვიადი დააკავეს, მაგრამ ხალხის მოთხოვნით იძულებულები გახდნენ გაეთავისუფლებინათ და ის სათავეში ჩაუდგა აბობოქრებულ ხალხს.

***– ბატონო რევაზ, დავუბრუნდეთ მერაბ კოსტავას საქმეს. ის 10 წლით იყო გადასახლებული.***

– დიახ, მერაბ კოსტავამ მისჯილი სამი წელი სრულად გაატარა ციხეში, შემდეგ ირკუტსკის ოლქში გადასახლების ვადა რომ უმთავრდებოდა, 1982 წელს ხრიკები მოუწყვეს და 5 წელი დაუმატეს, ხოლო 1985 წელს – კიდევ 3 წელი.

80-იანი წლების დასასრულისათვის წამოვიდა დისიდენტების ახალი ტალღა, რომელმაც თავის კერპად მერაბ კოსტავა გაიხადა.

თუმცა, მერაბ კოსტავა ტარიელად მიიჩნევდა ზვიადს, ხოლო თავად კი ავთანდილობის სიძნელეს აღიარებდა.

მერაბი 1980 წელს მისმა მეუღლემ და ვაჟმა ირაკლიმ ციმბირში მოინახულეს. ის სოფელ კვიტკოში „თავისუფალ გადასახლებაში" იყო, სადაც ქორეოგრაფიულ წრეში პიანისტად მუშაობდა.

საერთო ჯამში კოსტავას მისჯილი ჰქონდა 13 წელი, მაგრამ 10 წელი და 23 დღე გაატარა ციხეებსა და ბანაკებში.

მერაბი ერთხანს პერმის ოლქის ჩუსოვაის რაიონის დაბა პოლოვინკაში №37 ბანაკში იხდიდა სასჯელს – უმკაცრეს იზოლაციაში მოიქციეს. მალე ის ჭლექით დაავადდა და 1986 წლის 1 იანვრიდან ტაშკენტის ციხის ტუბდისპანსერში იწვა, ხოლო 1987 წლის 30 აპრილს გაათავისუფლეს.

მერაბი 1989 წლის 9 აპრილს ტრაგედიის შემდეგ მალევე დააკავეს, მაგრამ ამჯერად ისიც მალე გაათავისუფლეს საზოგადოების მოთხოვნით.

მერაბი კვლავ სათავეში ჩაუდგა ეროვნულ მოძრაობას, მაგრამ მალე ავტოკატასტროფაში დაიღუპა.

***– გურამ დოჩანაშვილი როდის ჩამოსცილდა თავის ჯგუფის წევრებს?***

– 1956 წლის დაპატიმრების, გასამართლებისა და პირობითი 3 წლის მისჯის შემდეგ გურამ დოჩანაშვილი და გურამ სხირტლაძე აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოსცილდნენ. კოსტავას გარდაცვალების შემდეგ ხალხი ზვიადში ხედავდა კომუნისტური რეჟიმისადმი დაპირისპირებული ეროვნული მოძრაობის მეთაურს, ამიტომაც გაჰყვა მას.

საზოგადოება

# თბილისის კონსერვატორიამ კულტურის სამინისტროს სასამართლოში უჩივლა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

აღნიშნული შუამდგომლობები თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

ზემოაღნიშნულის შედეგად ცხადია, რომ: მინისტრის 25 სექტემბრის ბრძანება რჩება ძალაში და კონსერვატორიის რექტორის არჩევნები ვერ ჩატარდება, თუ კონსერვატორია სათანადო სამართლებრივ დოკუმენტაციას კანონთან შესაბამისობაში არ მოიყვანს;

კონსერვატორიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა 29 სექტემბრის შეხვედრაზე, სავარაუდოდ, აირჩია მოჩვენებითი თანამშრომლობის გზა, რითაც შეეცადა დროის მოგებას იმ იმედით, რომ სასამართლო მინისტრის ბრძანების მოქმედებას შეაჩერებდა და რექტორის არჩევნები ჩატარდებოდა არაერთი სამართლებრივი ხარვეზით, როგორც მოხდა წარსულში, კერძოდ, 2019 წელს; როგორც ჩანს, კონსერვატორიაში გარკვეულმა ძალებმა საბოლოოდ აირჩიეს სამინისტროსთან კონფრონტაციის გზა.

სამინისტრო, როგორც კონსერვატორიის ზედამხედველი უწყება, აცხადებს, რომ მისთვის უპირატესი კონსერვატორია და მისი ინტერესებია. ის არ დაუშვებს, რომ პირთა მცირე ჯგუფმა კონსერვატორიის განვითარებას ხელი შეუშალოს.

სამინისტრო კვლავაც მზად არის, შეხვდეს კონსერვატორიის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც იზიარებენ იმავე პოზიციას და მათთან ერთად გადადგას ნაბიჯები, რათა რექტორის არჩევნებისათვის აუცილებელი სამართლებრივი დოკუმენტები – კონსერვატორიის წესდება და ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დებულება, ასევე აკადემიური საბჭოს შემადგენლობა მოვიდეს კანონთან შესაბამისობაში და რექტორის არჩევნები ჩატარდეს კანონის სრული დაცვით.

სამინისტრო, ასევე, განმარტავს, რომ კონსერვატორიის მოქმედ რექტორს უფლებამოსილების ვადა ეწურება 21 ოქტომბერს, 21 ოქტომბრიდან კი, კანონით დადგენილი წესისა და პროცედურების შესაბამისად, შესაძლებელი იქნება რექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლის არჩევა, – ნათქვამია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია მიმდინარე მოვლენებს სპეციალური განცხადებით გამოეხმაურა:

– საზოგადოებას შევახსენებთ, რომ კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ 2023 წლის 28 ივლისს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის არჩევნების გამოცხადების თაობაზე. კონკურსის გამოცხადება განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ მოქმედ რექტორს ეწურებოდა ვადა 2023 წლის 21 ოქტომბერს.

2023 წლის რექტორის არჩევნები გამოცხადებულ იქნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული კონსერვატორიის მოქმედი წესდებისა და „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის სრული შესაბამისობით. ამდენად ვერ გავიზიარებთ სამინისტროს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ 2019 წელს რექტორის არჩევნები არაერთი სამართლებრივი ხარვეზით ჩატარდა და 2023 წელსაც ხარვეზებით ჩატარებას გეგმავდა. საზოგადოებას განვუმარტავთ, რომ კონსერვატორიის ყველა რექტორი მოქმედი წესდების შესაბამისად იქნა არჩეული 2014 წლიდან მოყოლებული (რეზო კიკნაძე მეორე ვადით 2015 წელს, ნანა შარიქაძე 2019 წელს).

2023 წლის 25 სექტემბერს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით გაუქმდა რექტორის კანდიდატის შესარჩევად მიმდინარე კონკურსი.

ბრძანებით კონსერვატორიას დაევალა მოქმედ წესდებაში ცვლილების განხორციელება. კერძოდ, კონსერვატორიაში არსებული ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭება და, შესაბამისად, აკადემიური საბჭოს შემადგენლობის ერთი წევრით გაზრდა.

აღსანიშნავია, რომ თანამშრომლობის პირობებში და რეგულაციების დაცვით, კონსერვატორიამ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მომზადებული წესდების პროექტი 2022 წელს წარუდგინა სამინისტროს. წესდების პროექტი ითვალისწინებდა, მათ შორის, სტრუქტურის რეფორმას. ნიშანდობლივია, რომ პროექტის წარდგენიდან მიმდინარე წლის 25 სექტემბრამდე ანუ, რექტორის საარჩევნო პროცესის დაწყებამდე დაახლოებით 15 თვის განმავლობაში, სამინისტროს არ მოუხდენია წესდების პროექტზე რაიმე სახის რეაგირება, მათ შორის, არ დაუბრუნებია შენიშვნები.

გასაკვირია ის გარემოება, რომ ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრთან დაკავშირებული საკითხი აქტუალური გახდა რექტორობის კანდიდატთა საბუთების მიღების დაწყებისას, რაც არა ერთ ეჭვს და შეკითხვას აჩენს ინსტიტუციის ავტონომიურობასთან მიმართებით. ეს შეკითხვები არაერთხელ დაისვა კონსერვატორიის წარმომადგენლების მიერ 29 სექტემბერს სამინისტროში დანიშნულ შეხვედრაზე მინისტრის მოადგილესთან. სამწუხაროდ, ამ კითხვებზე პასუხი აკადემიური საბჭოს წევრებმა ვერ მიიღეს.

27 სექტემბრის განცხადებაში კონსერვატორიის აკადემიურმა საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამომავლოდ ცენტრისთვის სტატუსის განსაზღვრა არ არის კავშირში რექტორის არჩევნების პროცესთან და მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი არ შეიძლება გახდეს რექტორის არჩევნებთან დაკავშირებული დადგენილების გაუქმების საფუძველი.

აღვნიშნავთ, რომ კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სტატუსის სამომავლოდ განსაზღვრის შესახებ მუშაობა დაწყებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ. თუმცა, მისი ფორმირება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად მოითხოვს დროს, რაც რექტორის არჩევნების უახლოეს მომავალში ჩატარების შესაძლებლობას სპობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2023 წლის 2 ოქტომბერს კონსერვატორიამ სარჩელით (სარჩელი უზრუნველყოფით) მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2023 წლის 25 სექტემბერს გამოცემული კონსერვატორიის რექტორის არჩევნების გაუქმების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე. სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრძანების შეჩერების შესახებ შუამდგომლობა.

იმის გათვალისწინებით, რომ შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, მოქმედ რექტორს კი 21 ოქტომბერს ეწურება ვადა, სასამართლო განხილვა აზრს კარგავს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვოლოდიმირ ზელენსკი რუმინეთში ჩავიდა



უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი რუმინეთში ჩავიდა. აქ ის თავის რუმინელ კოლეგას კლაუს იოჰანესს შეხვდა. პრეზიდენტებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში;
2. ავიაციური და სხვა თავდაცვითი კოალიციების განვითარების პერსპექტივები;
3. ჰაერსაწინააღმდეგო კოალიციის გაძლიერების საკითხები;
4. შავ ზღვაზე უსაფრთხოების გაძლიერების საკითხი.

უსაფრთხოების საკითხები ტყუილუბრალოდ როდია გამოყოფილი. ზამთრის მოახლოებასთან ერთად რუსული დაბომბვებიც გაძლიერდება.

რუსების პრიორიტეტული სამიზნეებია: 1) პორტები, 2) სამხედრო ნაწილები, 3) საცხოვრებელი სახლები, 4) სკოლები, 5) ბავშვთა ბაღები, 6) საავადმყოფოები, 7) სამთავრობო დაწესებულებები, 8) ენერგოობიექტები.

აღნიშნული ინფორმაცია გარკვეულწილად დიქტატორმა პუტინმაც დაადასტურა. რტრ-ისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა:

– უკრაინის დაბომბვები გაძლიერდება! ამ ზამთარს უკრაინას ძალზე გაუჭირდება!

პუტინმა კბილების ღრჭენით აღიარა, რომ სახმელეთო იერიშებმა შედეგი არ მოიტანა და ამიტომ ახლა პრიორიტეტი დაბომბვაზე გაკეთდება.

ამრიგად, ფრონტზე მოსკოვი ვერას გახდა. რუსებმა ვერც კუპიანსკთან გარღვევა განახორციელეს, ვერც ზაპოროჟიეს ოლქში უკრაინელთა კონტრშეტევები ვერ შეაჩერეს. ახლა აქცენტი დაბომბვებზე კეთდება. უკრაინაც ამ საფრთხის გასანეიტრალებლად ემზადება. ზელენსკის რუმინეთში ვიზიტიც ამისი მაჩვენებელია.

# აშშ-მ ისრაელს სამხედრო დახმარება გაუზარდა



აშშ-მ ისრაელს სამხედრო დახმარება გაუზარდა. ამის შესახებ იუწყება რადიოსადგური „ამერიკის ხმა". ისრაელისაკენ უკვე მიემართება ამერიკული ავიამზიდი ჯერალდ ფორდი. თეთრი სახლის წარმომადგენელმა კირბიმ კი განაცხადა:

– ისრაელს სამხედრო დახმარებას გავუზრდით!

ამავე დროს ისრაელის პრემიერმა ნეთანიაჰუმ აღნიშნა, რომ ჰამასის ბოევიკები ისრაელის ტერიტორიაზე საშინელ მხეცობას სჩადიან. ისინი ყელებს ჭრიან ბავშვებს, კლავენ მოხუცებს, ქალებს. ხშირია შემთხვევები, როცა ბავშვებს მშობლების თვალწინ უსწორდებიან.

# უკრაინის ფრონტზე ოკუპანტები ჭურვების საოცარ დეფიციტს განიცდიან



უკრაინაში ომი გრძელდება. დღეისათვის ყველაზე ცხელი წერტილებია კუპიანსკი, ლიმანი, ავდეევკა და მარინკა.

კუპიანსკის მიმართულებით რუსების შეტევები რამდენიმე დღის წინ განახლდა. დღეისათვის ოკუპანტებმა ვერაფერს მიაღწიეს. იგივე შეძლება ითქვას ლიმანის ვითარებაზე. რუსებმა ავდეევკის მასობრივი დაბომბვა დაიწყეს. ავდეევკისაკენ ხერსონიდან სპეციალურად გადაისროლეს არტილერია. ვითარებაც დაიძაბა. როგორც ჩანს, ოკუპანტები დარწმუნებულნი იყვნენ წარმატებაში.

რაც შეეხება მდგომარეობას ბახმუტთან, აქ უკვე უკრაინელები უტევენ. მათ გაიმაგრეს პოზიციები ანდრეევკასთან, კლეჩივკასთან და ა.შ. ოკუპანტები იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ.

ამ მოსაზრებას რუსეთის თავდაცვის მინისტრი შოიგუც დაეთანხმა. მან განაცხადა, რომ ბახმუტი დაინგრა და ამაში ბრალი მითიურ უკრაინელ „ნაცისტებს" დასდო.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის აზრით, მსგავსი ხვედრი მოელით ანდრეევკას, კლესჩივკას, კურდიომოვკას თუ სხვა დასახლებულ პუნქტებს.

ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქში ბრძოლებია. უკრაინულმა არმიამ გაარღვია ფრონტი რობოტინოსთან, ვერბოვოისთან და წინ მიიწევს. ოკუპანტები შეეცადნენ დაებრუნებინათ დაკარგული პოზიციები, მაგრამ ამაოდ. მტერი იძულებული გახდა, დიდი დანაკარგებით უკან დაეხია. საინტერესო ვითარება შეიქმნა ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა ნაპირზეც. რუსები უკრაინელთა მძაფრი ცეცხლის ქვეშ არიან მოქცეულნი და უდიდეს ზარალს განიცდიან. უკრაინის სამხედრო დაზვერვის ცნობით, ოკუპანტები ჭურვების საოცარ დეფიციტს განიცდიან. შედეგი რუსების სავალალო მდგომარეობაა.

# დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

უკრაინის გენშტაბის ცნობით, ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია:

ტანკები – 4.863, საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 9.220, არტილერია – 6.731, თვითმფრინავები – 316.

განადგურებულია 283.900 ოკუპანტი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ექიმი შიშველ პაციენტებს ფარულად ვიდეოს უღებდა

დიდ ბრიტანეთში ანესთეზიოლოგმა გისოსებს მიღმა თავის იმის გამო ამოჰყო, რომ გახდილ პაციენტებს ფარულად ვიდეოს უღებდა, ხოლო ერთ-ერთი მათგანი ტოქსინით მოწამლა.

61 წლის ჰოსამ მეტვალი 2016 წლიდან ლინკოლნშირის საგრაფოს ქალაქ გრიმსბის საავადმყოფოში მუშაობდა. მთელი ამ დროის მანძილზე მან არაერთ პაციენტ ქალს გადაუღო ფოტოსურათი და ვიდეო ისე, რომ მათ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. გარდა ამისა, მან ერთ-ერთ პაციენტს სხეულში ტოქსიკური ნივთიერება შეუყვანა და პროცესი ფარულად ვიდეოზე გადაიღო. შედეგად ქალს შიდა ორგანოების უკმარისობა განუვითარდა და კომაში ჩავარდა.



გამოძიების დროს გაირკვა, რომ ექიმი წლების მანძილზე ინახავდა შიშველი პაციენტების ვიდეოებს საკუთარი სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ანესთეზიოლოგმა ჩადენილი დანაშაული აღიარა. მას გარყვნილ ქმედებასა და პაციენტის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნაში დასდეს ბრალი და 14 წლით და ექვსი თვით პატიმრობა მიუსაჯეს.

# მამაკაცმა რეკორდული 114 კილოგრამიანი კობრი დაიჭირა

ბრიტანელმა თევზაობის მოყვარულმა ტაილანდში შვებულებით ყოფნის დროს უზარმაზარი კობრი დაიჭირა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

36 წლის კელვინ მარსტონი რატჩაბურის პროვინციაში ტბაზე მამასა და ახლობელთან ერთად თევზაობდა, როდესაც მისი ანკესის ნემსკავზე უზარმაზარი კობრი წამოეგო. მეთევზის თქმით, ნადავლი იმდენად დიდი იყო, რომ მისი წყლიდან ამოსაყვანად მამის, მეგობრის და ადგილობრივი მცხოვრების დახმარება დასჭირდა.



რეკორდული კობრის წონამ 114 კილოგრამი შეადგინა.

– გაოგნებული ვიყავი. არ ვიცოდი, რომ ეს რეკორდული წონა იყო. ამისთვის კი ტბის მფლობელისგან საჩუქრად მაისურიც კი მივიღე, – განაცხადა მარტსონმა.

მან თავის თანმხლებებთან ერთად ფოტოსურათები გადაიღო უზარმაზარი ნადავლით, შემდეგ კი ის წყალში დააბრუნა. ბრიტანელის თქმით, რამდენიმე დღის შემდეგ მან კიდევ ერთი უზარმაზარი კობრი დაიჭირა, რომლის წონამ 102 კილოგრამი შეადგინა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ოლიმპიური კომიტეტი მომავალს უყურებს



ევროპის ოლიმპიური კომიტეტების (ეოკ) 52-ე გენერალურ ასამბლეას სტამბოლმა უმასპინძლა, სადაც 2023 წლის სპორტული მოვლენები განიხილეს. ხაზი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მუშაობას გაესვა, რომლებმაც მაღალი სტანდარტები დააწესეს.

**სპიროს კაპრალოსი, ეოკ-ის პრეზიდენტი:**

– ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ისტორიაში ეს იყო ყველაზე დატვირთული წელი. ჩავატარეთ მეტად წარმატებული ღონისძიებები, რომლებმაც, თავის მხრივ, ევროპული სპორტი ახალ სიმაღლეზე აიყვანა. კარგად ორგანიზებულ შეჯიბრებებში ვიხილეთ ევროპის საუკეთესო სპორტსმენების ასპარეზობა. ჩვენი მთავარი პრიორიტეტი ყოველთვის იყო ჩვენი სპორტსმენების მსახურება. მიმაჩნია, რომ საამაყოდ გვაქვს საქმე იმის გათვალისწინებით, თუ როგორ გავაკეთეთ ეს ყოველივე ერთად. ეს იქნა მიღწეული როგორც ევროპის, ისე რიგ შემთხვევებში საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან თანამშრომლობით და, რა თქმა უნდა, ევროპის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებთან ერთად. ჩვენ გავაუმჯობესეთ ეოკ-ის და ჩვენი ღონისძიებების იმიჯი. ყოველივეს მივაღწიეთ მკაცრად გაწერილი ბიუჯეტით.

ასამბლეის დელეგატების წინაშე მოხსენებით და პრეზენტაციით წარდგნენ 2025 წელს ბაკურიანში გასამართი ზამთრის ახალგაზრდული ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელები. მათ დეტალურად ისაუბრეს ბაკურიანის სამზადისზე, შესრულებულ და შესასრულებელ სამუშაოებზე, წარმოადგინეს შესაბამისი ვიზუალური მასალა.

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების გენერალურ ასამბლეის მსვლელობისას პიოტრ ნუროვსკის სახელობის ევროპის საუკეთესო ახალგაზრდა სპორტსმენის ნომინაციაში გამარჯვებულებად გამოცხადდნენ გერმანელი ტანმოვარჯიშე დარია ვარფოლომეევა და თურქი მოცურავე კუზეი ტუნჩელი. აღსანიშნავია, რომ ორივე სპორტსმენმა გამოკითხვაში ხმების თანაბარი რაოდენობა დააგროვა. ამიტომაც პირველად ისტორიაში ჯილდო ერთბაშად ორ სპორტსმენს გადაეცა.

**გენერალურ ასამბლეაზე დამსწრეთ მიმართა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტმა თომას ბახმაც:**

– ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით იმით, რასაც წლის განმავლობაში მივაღწიეთ. ჩვენ მომავალში უნდა ვიყუროთ და ჩვენ წინაშე არსებული ამოცანები განვსაზღვროთ. რა თქმა უნდა, არის ერთი სფერო, რომლის მიმართაც ერთგულია ოლიმპიური მოძრაობა და ეს არის მდგრადი განვითარების მიზნები. მსურს მადლობა გადავუხადო ეოკ-ს, გაეროს სპორტი კლიმატის მხარდაჭერის პროგრამაში გაერთიანებისთვის, რომელიც სოკ-ის მიერ გაეროსთან ერთად იყო ინიცირებული. ოლიმპიურ მოძრაობას ნათელი მომავალი აქვს, მაგრამ შეგვიძლია, რომ ის უფრო ნათელი გავხადოთ, თუკი არა მხოლოდ ვისაუბრებთ ოლიმპიურ დევიზზე, არამედ მისით ვიცხოვრებთ. მოგიწოდებთ, ცხოვრებაში გავატაროთ ახალი ოლიმპიური დევიზი, რათა სწრაფად ცვალებად სამყაროში სწრაფად ვიმოქმედოთ, ვიყოთ უფრო ძლიერები, ვისწრაფოდეთ მაღალი მიზნებისთვის და ვიყოთ უფრო ძლიერები. ყოველივეს მიღწევა შესაძლებელი იქნება თუ ყველა ერთად სოლიდარულად დავდგებით.

სავარაუდოდ, მეოთხე ევროპული თამაშების მასპინძელი სწორედ სტამბოლი იქნება. ქალაქის მერმა ეკრემ იმამოღლუმ საზეიმო მიღებაზე აღნიშნა, რომ სტამბოლი დაინტერესებულია, 2027 წლის თამაშები მათ ქალაქში გაიმართოს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# მაიკლ ჯექსონის ქურთუკი „პეპსის" რეკლამიდან აუქციონზე გაიყიდება



ამერიკელი მომღერლის მაიკლ ჯექსონის ქურთუკი, რომელშიც ის „პეპსის" საკულტო რეკლამაში იყო გადაღებული აუქციონზე გასაყიდად იქნება გატანილი.

საუბარია შავი ფერის ქურთუკზე, თეთრი ფერის ჩანართებით, რომლითაც ის გაზირებული სასმელის „პეპსის" რეკლამაში გამოჩნდა და რომელიც ეკრანებზე 1984 წელს გამოვიდა.

ამ ლოტის თავდაპირველი ფასი 100 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს, თუმცა აუქციონის ორგანიზატორები მის 200-დან 400 ათას ფუნტ სტერლინგამდე გაყიდვას ვარაუდობენ.

ცნობილია, რომ მაიკლ ჯექსონის ქურთუკის გარდა, აუქციონზე სხვა მუსიკოსების ნივთებიც გაიყიდება. ონლაინ-ვაჭრობა მიმდინარე წლის 10 ნოემბერს გაიმართება.

# მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ჩასაცმელი დასახელდა



პლატფორმა Lyst-ის ექსპერტებმა, რომლებიც მოდის ინდუსტრიაში მომხმარებელთა მოთხოვნილებების ანალიზით არიან დაკავებულები, 2023 წლის მესამე კვარტალში ყველაზე პოპულარული ჩასაცმელი დაასახელეს. შესაბამისი მასალა კომპანიის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

ანალიტიკოსების მონაცემებით, ყველაზე მოთხოვნად ჩასაცმელად Miu Miu-ს ბრენდის ნაცრისფერი კარდიგანი გახდა. გარდა ამისა, რეიტინგში ასევე შევიდა აქსესუარები, რომელთა შორის აღმოჩნდა COS-ის ჩანთა და Loewe-ს მარკის Puzzle tote-ის ჩანთა-ტრანსფორმერი. სპეციალისტებმა ასევე გამოარჩიეს ფირმა Acne Studious-ის მიერ შექმნილი მზის სათვალეები.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის ივლისში დასახელდა მსოფლიოში ყველაზე პოპულარული მოდური ბრენდი. ყველაზე მოთხოვნადი ლუქს მარკების სიაში პირველი ადგილი Loewe-მ დაიკავა.

# „მსოფლიოს ყველაზე სექსუალური მეცნიერი" ალიგატორს ზურგზე მოაჯდა



მკვლევარი, მწერალი და ბიკინი-მოდელი როზი მური, რომელსაც „მსოფლიოს ყველაზე სექსუალურ მეცნიერად" მოიხსენიებენ, დაჭერილ და გაკოჭილ უზარმაზარ ალიგატორს ზურგზე მოაჯდა.

26 წლის მურმა სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეორგოლი, რომელშიც საკმაოდ მოზრდილ ალიგატორს ზურგზე აზის. აღსანიშნავია, რომ ამ დროს მტაცებელ ცხოველს პირი წებოვანი ლენტით აქვს აკრული. გოგონას თქმით, აღნიშნული ვიდეორგოლი და ფოტოსურათი ამერიკის ფლორიდის შტატში იქნა გადაღებული. მან ასევე აღნიშნა, რომ ჩვეულებრივ ამ შტატში 1,2 მეტრზე მეტი სიგრძის ალიგატორებს, რომლებსაც საცხოვრებელი სახლების ახლოს იჭერენ, ან ისინი რაიმე პრობლემას უქმნიან ადამიანებს, აძინებენ. ნაკლების სიგრძის ალიგატორები ადამიანებისა და მათი შინაური ცხოველებისთვის საფრთხის შემცველად არ მიიჩნევიან. მურმა ასევე ყველას ურჩია, რომ ნუ შეეცდებიან ალიგატორების გამოკვებას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლანორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ესპანურმა მედიამ თორნიკე შენგელიას სპორტული გზა ბავშვობიდან გაიხსენა

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტან თორნიკე შენგელიას ესპანურმა მედიამ ვრცელი წერილი მიუძღვნა. წერილში შენგელიას საკალათბურთო გზასთან ერთად ჩვენებურის კომენტარებიც არის.

– ქართული საგა 1991 წლის 5 ოქტომბერს დაიწყო. ამ დღეს, მტკვრის სანაპიროზე, მაღალ მთებს შორის მდებარე ქვეყნის დედაქალაქ თბილისში თორნიკე შენგელია დაიბადა.

თოკოს გარშემო პატარაობიდანვე ტრიალებდა კალათბურთის სული. როგორც დედა, ასევე მამა პროფესიონალი კალათბურთელები იყვნენ. 211 სმ სიმაღლის კახა შენგელიას „სამტრედიელ გიგანტს" უწოდებდნენ.

**თორნიკე შენგელია:**

– მამაჩემი საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი იყო, ნაკრებში თამაშობდა, რამაც ბავშვობაშიც და შემდგომ წლებშიც ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. სამაგალითო იყო. ჩემ გარშემო მუდმივად კალათბურთი იყო და როდესაც წამოვიზარდე, კალათბურთის გარდა, სხვა სახეობა არც განმიხილავს. მამაჩემი ჩემი მწვრთნელი გახლდათ და დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს კალათბურთელად ჩამოყალიბებაში.

შენგელიას აღმზრდელი მწვრთნელი კახას მეგობარი, საქართველოს ნაკრების ყოფილი კალათბურთელი ნიკო ჩერქეზიშვილია, რომელთან ერთად, კლუბის გარდა, ასაკობრივ ნაკრებებშიც თამაშობდა.

16 წლის თორნიკე საცხოვრებლად ვალენსიაში გადავიდა. ვალენსიასთან ერთად თავიდან ება-ს ლიგაში გამოდიოდა, 2009 წლის 7 თებერვალს კი, დებიუტი ესპანეთის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჰქონდა. შენგელიას გუნდი მენორკას ეთამაშა, რომელშიც თოკოს თანამემამულე ვლადიმერ ბოისა ასპარეზობდა. თოკოს პირველივე მატჩში კარგი სტატისტიკა ჰქონდა: 7 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი.

– ვალენსიაში 2010 წლამდე დავრჩი. დიდებული გამოცდილება იყო. ვიგრძენი, რას ნიშნავს, იყო პროფესიონალი კალათბურთელი, რას ნიშნავს კალათბურთელის ცხოვრება, რას ნიშნავს პროფესიონალის ცხოვრება. ვითამაშე ება-ს ლიგაზე, ესპანეთის ჩემპიონატსა და ევროთასზე. 2010 წელს ვალენსიასთან ერთად ევროთასი მოვიგე, რაც დიდებული გრძნობა იყო.

თუმცა, იმავე წლის აგვისტოში შენგელიასა და ვალენსიას გზები გაიყარა და თორნიკე ბელგიურ შარლერუაში გადავიდა. პირველივე სეზონში არ უთამაშია და შედარებით სუსტ პეპინსტერში გადავიდა, სადაც მეტი სათამაშო დრო ჰქონდა. სამაგიეროდ, შეიძინა პრაქტიკა, რათა მომდევნო წელს ბელგიის საუკეთესო გუნდში სრულყოფილად ეთამაშა.

2011-12 წლების სეზონში შარლერუა ევროლიგაზე გამოდიოდა და ევროპული კალათბურთის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირში, სადაც უკვე 2.589 ქულა აქვს ჩაგდებული, შენგელია სწორედ ბელგიური გუნდის მაისურით გამოჩნდა.

– ბელგიაში გატარებული ორი წელი ჩემს კარიერაში ძალიან სასარგებლო იყო. პეპინსტერში თავის გამოჩენის მშვენიერი შანსი მქონდა. ვფიქრობ, გამოვიყენე. შემდეგ შარლერუასთან ერთად ევროლიგას გავუგე გემო და იმდენად კარგად გამოვიდა ყველაფერი, რომ გადავწყვიტე, ნბა-ს დრაფტზე დავმდგარიყავი.

ლეონარდო და ვინჩიმ თქვა – ღარიბია სტუდენტი, რომელსაც არ შეუძლია მასწავლებლისთვის სიურპრიზის შეთავაზება. შენგელიამ კი, მასწავლებელს, კახა შენგელიას საოცარი სიურპრიზი შესთავაზა – 2012 წლის ნბა-ს დრაფტის მეორე წრეში ფილადელფიამ აირჩია, მაგრამ ბრუკლინ ნეთსს დაუთმო და ახალ სეზონში უკვე მისი მაისურით თამაშობდა.

2012 წლის ივლისში ორლანდოს საზაფხულო ლიგაზე ეფექტური თამაშის შემდეგ ქართველ ფორვარდს ბრუკლინელებმა 2-წლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. პირველ სეზონში ხშირად განვითარების ლიგაში სპრინგფილდთან ერთად თამაში უწევდა. თოკოს არც მეორე სეზონში გამოუჩნდა სათანადო სათამაშო დრო და 21 იანვარს შენგელია ჩიკაგოში გადავიდა.

– ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში დრო არასაკმარისად მქონდა, მაგრამ დიდი გამოცდილება მივიღე. ვარჯიში უმაღლესი დონის ვარსკვლავებთან ერთად მიწევდა – კევინ გარნეტთან, დერონ უილიამსთან, პოლ პირსთან. ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე მეხმარებოდნენ და ვისწავლე, როგორ უნდა ლიდერობა.

ნბა-ში 45 მატჩი ითამაშა, ხოლო განვითარების ლიგაში – 14, რის შემდეგაც 207 სმ სიმაღლის მძიმე ფორვარდმა ამერიკიდან ევროპაში დაბრუნება გადაწყვიტა.




ესპანეთი, ბელგია, ამერიკა და წრე კვლავ ესპანეთში შეიკრა – შენგელიამ ბასკონიას მაისური მოირგო.

– თამაშის დრო დადგა. ორი წლის განმავლობაში მწირი სათამაშო პრაქტიკა მქონდა და მაღალი დონის გუნდი მჭირდებოდა, სადაც თამაშისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება მომეცემოდა. ასეთი კლუბი ბასკონია აღმოჩნდა, რომელიც შიდა ასპარეზის გარდა ევროლიგაზეც გამოდის. ჩემი საკალათბურთო ფილოსოფია მარტივია – ვითამაშო და ვათამაშო თანაგუნდელები, ვიმუშაო დაცვაში და შეტევაში, გუნდს ენერგია შევმატო. მებრძოლი ვარ. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ დგას მოედანზე ჩემ წინააღმდეგ, ვიბრძვი ბოლომდე. ეს ყველაფერი მამაჩემისგან ვისწავლე.

თოკომ ბასკონიაში 6 წელი გაატარა, სადაც კლუბში მისვლისას ქომაგს ჩემპიონობას დაჰპირდა და პირობა სწორედ მეექვსე წელს შეასრულა.

2020 წელს ესპანეთის ჩემპიონატის ფინალში თორნიკე შენგელიას ბასკონიამ ბარსელონა 69:67 დაამარცხა და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა.

საჩემპიონო მატჩში შენგელიას სტატისტიკა ასეთი იყო: 33 წუთი, 14 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 2 დაფარება.

შენგელიამ ესპანეთის ჩემპიონისთვის განკუთვნილი თასი კაპიტნის სტატუსით ჩაიბარა. მისი გვარი უამრავი უცხოური გამოცემის სათაურში მოხვდა, თოკოს ფოტოებს კი, თვლა აღარ ჰქონდა...

ბარსელონასთან ფინალში გამარჯვებამდე ბასკონიას მთავარმა მწვრთნელმა დუშკო ივანოვიჩმა გუნდს ხმამაღლა მიმართა – უნდა მოვიგოთ თოკოსთვის!

რატომ თოკოსთვის? იმიტომ, რომ ბასკონიიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ 6 წლის მანძილზე ერთი გუნდური ტიტულიც არ ჰქონდა მოპოვებული.

2020 წლის 14 ივნისს ახალი კონტრაქტი მოსკოვის ცსკასთან გააფორმა, რასაც არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა.

**საქართველოს ნაკრების კაპიტნის პასუხი ასეთი იყო:**

– კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე, თორნიკე შენგელია, ვიყავი, ვარ და ვიქნები ქართული სულის მატარებელი ყველგან, სანამ სული მიდგას და ამას ვერ შეცვლის ვერც ერთი გაკეთებული კომენტარი თუ განცხადება.

ცსკამ ოთხწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა, მაგრამ ხელს არ ვაწერდი, რადგან მინდოდა, ჩაწერილიყო პირობა, რომლის მიხედვით, შუა სეზონში საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ წასვლას შევძლებდი. ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ამასთან, ცსკა ევროპის ერთ-ერთი ტოპკლუბია და ევროლიგის მოგების იდეაც მიზიდავდა.

მაშინ, როდესაც ევროლიგის კლუბები სანაკრებო ფანჯრებისას კალათბურთელებს ნაკრებში არ უშვებდნენ, ცსკასთან შეთანხმებით შენგელია ეროვნული გუნდის ყველა მატჩზე ჩამოდიოდა.

როდესაც კალათბურთელი ახალ გუნდში მიდის, ყოველთვის სურს, ზურგზე ის ნომერი დაიწეროს, რაც მანამდე ეწერა. თუმცა ხშირია შემთხვევა, როცა ნომერი დაკავებულია და ახლის არჩევა გიწევს.

თორნიკე შენგელია საქართველოს ნაკრებშიც 23 ნომრად თამაშობს და ბასკონიაშიც 23 იყო. მაგრამ ცსკაში 23-ნომრიანი მაისური ამერიკელ დანიელ ჰაკეტს ეცვა. თუმცა, პატივისცემის ნიშნად თოკოს 23 ნომერი დაუთმო, თავად კი, 10-ნომრიანი ფორმით თამაშობდა.

2022 წლის თებერვალში შენგელიამაც და ჰაკეტმაც მოსკოვის ცსკა პროტესტის ნიშნად დატოვეს და ბოლონიის ვირტუსში გადავიდნენ.

– ეს არის ჩემი პროტესტი უკრაინაში რუსული აგრესიის მიმართ. ამ სიტუაციაში არ შემიძლია ვითამაშო რუსული არმიის კლუბში.

ბოლონიაში თორნიკეს სერჯიო სკარიოლო წვრთნიდა, რომელიც პარალელურად ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი იყო. სანაკრებო ფანჯრის დროს, თორნიკესა და სკარიოლოს 2022 წლის 4 ივლისს ერთმანეთთან დაპირისპირება მოუწიათ. აი, რა თქვა სკარიოლომ ამ მატჩის შემდეგ:

– თოკო ძალიან მიყვარს, როგორც მოთამაშე, როგორც პიროვნება. იგი უმაღლესი დონის კალათბურთელია, გუნდის ლიდერია როგორც მოედანზე, ასევე მის მიღმა. მისი შეჩერება ნებისმიერ მეურვეს უჭირს. ამიტომ მეორე მცველს ვახმარდი. თუმცა, ასეთ დროს თორნიკე კარგ ასისტენტად იქცა – პასებს თავისუფალ სივრცეში მყოფ პარტნიორებს ურიგებდა: რატი ანდრონიკაშვილს, დუდა სანაძეს, გიორგი შერმადინს. შენგელიას თამაშმა მატჩის შედეგზე დიდი გავლენა იქონია. დიდი შრომა გასწია, დიდი ლიდერია. საქართველოსთვის ბედნიერებაა, რომ თორნიკე შენგელია ჰყავს.

ეს ის თამაშია, რომელიც საქართველოს ნაკრებმა ოვერტაიმში მოიგო და მსოფლიო ჩემპიონატისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

ბოლონიამ შენგელიასთან ერთად 2022 წელს ევროთასი მოიგო და რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ ევროლიგაზე თამაშის უფლება მოიპოვა.

დღეს სკარიოლო ვირტუსს აღარ წვრთნის, შენგელიამ კი, ბოლონიელებთან ერთად ევროლიგის ახალი სეზონი დაიწყო.

კახა შენგელიას სანაკრებო დებიუტი 1995 წლის 8 ოქტომბერს შედგა, სლოვაკეთის ნაკრებთან 27 წუთი ითამაშა. სლოვაკურ მატჩამდე ზუსტად სამი დღით ადრე, კახას შვილის დაბადების დღე ჰქონდა – პატარა თორნიკე 4 წლის გახდა.

მამა შენგელიამ სანაკრებო კარიერა 2001 წელს დაასრულა, თოკოს დებიუტი კი 7 წლის შემდეგ, 2008 წლის 6 სექტემბერს ლუქსემბურგში ჰქონდა. მას მერე თორნიკე შენგელია ყოველწლიურად აუმჯობესებს თამაშის ხარისხს და დღეს ევროლიგის ტოპფორვარდთაგანია.

თოკოს ნაკრების მაისურით სამ ევრობასკეტსა და ერთ მსოფლიოზე აქვს ნათამაშები, ერთი ევრობასკეტი კი, ტრავმის გამო გამოტოვა. მისი სანაკრებო რეკორდი 31 ქულაა – 2016 წელს სლოვაკეთს ჩაუგდო.

2023 წელს საქართველოს ნაკრებმა კაპიტან თორნიკე შენგელიასთან ერთად დაწერა ისტორია, ჯერ მსოფლიო ჩემპიონატზე გავიდა, იქ კი პირველი ჯგუფური ეტაპი გადალახა და მსოფლიოს საუკეთესო 16 გუნდში მოხვდა.

**მუნდიალის შემდეგ თორნიკემ გვიპასუხა:**

– არა მარტო მსოფლიოს. ჩვენ ამას იმიტომ არ ვაკეთებთ, რომ მარტო მსოფლიოს დავანახოთ. ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენც დავიჯეროთ, ახალგაზრდებს დავანახოთ, რომ ჩვენი ადგილი არის დიდ ასპარეზზე. ტალანტიდან, ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე, ვიმსახურებთ ელიტაში ყოფნას, შემთხვევით არ მოვხვედრილვართ. ეს ადგილი არავის უჩუქებია.

ხალხს დავანახეთ, რომ ეს ერთხელ თუ შევძელით, შეგვიძლია კიდევ ბევრჯერ მოვხვდეთ. მართალია, თამასა ძალიან მაღლა ავწიეთ, მაგრამ ეს მომავალი თაობებისთვის წნეხი არ უნდა იყოს. პირიქით, მოტივაციად უნდა იქცეს. ამის შემდეგ დარჩა ოლიმპიადა. ჩემი ერთ-ერთი ოცნებათაგანია, საქართველო გავიყვანო ოლიმპიადაზე.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ტაილანდთან მატჩის წინ



საქართველოს ნაკრები 12 ოქტომბერს, „მიხეილ მესხზე" ტაილანდთან ამხანაგურ მატჩს ითამაშებს, ხოლო 15 ოქტომბერს კვიპროსის ნაკრებს ევრო 2024-ის შესარჩევი ეტაპის მატჩში გაეჯიბრება.

ვილი სანიოლის კრებული ტაილანდსა და კვიპროსთან მატჩებისთვის მზადებას განაგრძობს. გუნდი სრული შემადგენლობით შეიკრიბა და ბოლო ვარჯიშზე 24 ფეხბურთელი მონაწილეობდა.

მოახლოებული მატჩების წინ კომენტარი ზურიკო დავითაშვილმა და ნაკრების დებიუტანტმა, ივა გელაშვილმა გააკეთეს.

**ზურიკო დავითაშვილი:**

– გუნდში ძალიან კარგი განწყობაა. უნდა გამოვასწოროთ სექტემბერში დაშვებული შეცდომები. მიზანი, ორივე თამაშის მოგებაა. კვიპროსი რთული მეტოქეა. ჩემი აზრით, შეგვიძლია კარგი ფეხბურთით გამარჯვების მოპოვება. რაც შეეხება ტაილანდის ნაკრებთან მატჩს, გუნდში ბევრი ფეხბურთელია და ალბათ ყველას მიეცემა თამაშის საშუალება.

**გელაშვილი საქართველოს ნაკრების დებიუტანტია და როგორ თავად ამბობს, ეს მისი ოცნება იყო:**

– ძალიან გახარებული ვარ ეროვნულ ნაკრებში გამოძახებით. ამ გუნდში მოხვედრა ჩემი ოცნება იყო. სასიამოვნოა, სამწვრთნელო შტაბისგან ნდობა და შანსის მიღება. მნიშვნელოვანი თამაშები გველის. კარგი თამაში უნდა ვაჩვენოთ, ჩვენი დადებითი მხარეები წარმოვაჩინოთ და ორივე შეხვედრა მოვიგოთ.

საქართველოსა და ტაილანდის მატჩი 12 ოქტომბერს, თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება და 20:00 საათზე დაიწყება.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა კი ასეთია:**

**მეკარე:** გიორგი ლორია (დინამო, თბ), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი);

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), სოლომონ კვერკველია (ალ ახდუდი, საუდის არაბეთი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), ირაკლი აზაროვი (შახტარი, უკრაინა), ივა გელაშვილი (სპეცია, იტალია), ალექსანდრე კალანდაძე (დინამო, თბ);

**ნახევარდაცვა:** ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი) ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), გაბრიელ სიგუა (ბაზელი, შვეიცარია), გიორგი ქოჩორაშვილი (ლევანტე, ესპანეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო, ბთ), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო, თბ), სანდრო ალთუნაშვილი (ვოლფსბერგერი, ავსტრია), ლევან შენგელია (პანეთოლიკოსი, საბერძნეთი), საბა ლობჟანიძე (ატლანტა, აშშ), გიორგი ჩაკვეტაძე (უოტფორდი, ინგლისი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი);

**თავდასხმა:** გიორგი მიქაუტაძე (აიაქსი, ნიდერლანდები), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), დავით ვოლკოვი (საბაჰი, აზერბაიჯანი), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია).

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქართველი სპორტული ტელეჟურნალისტი მამაკაცი; 2. მგალობელი ჩიტი; 3. მოვარდნილი წყალი; 4. ქართული სათვისტომოს მამული პარიზის მახლობლად; 5. ღვინის ხის კასრების მკეთებელი ოსტატი; 8. უმცროს მეთაურთა სამხედრო წოდება საზღვაო ფლოტში; 9. სავაჭრო სპეკულაციებით გამდიდრებული ადამიანი; 12. შვეიცარიის ისტორიული სახელწოდება; 13. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 16. ვირტუოზი ესპანელი მევიოლინე მამაკაცი; 17. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 19. ჰერმეტული მინის ჭურჭელი წამლისთვის; 20. მექანიკური მუსიკალური საკრავი.

**თარაზულად:** 6. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 7. ფიროსმანის ფერწერული ტილო; 8. აზერბაიჯანული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 10. გულის ნაწილი; 11. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 14. ღვინის მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 15. ცნობილი ქართველი ჰომეოპათი ექიმი, პროფესორი; 18. რაგბისტთა გუნდი საქართველოში; 21. ბაზარში დაწესებული ფასი; 22. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 23. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი საქართველოში; 24. ქართველი ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბანარა; 2. ვერო; 3. დემაგოგია; 4. ბზობა; 5. შამოზა; 8. ვეზუვი; 9. ჩაკვეტება; 12. კენდო; 14. აზდაკი; 16. ოტიტი.

**თარაზულად:** 1. ბარიმეტრი; 6. გეოდეზია; 7. ნალველი; 9. ჩაჟოში; 10. ბაში; 11. კუბრიკი; 13. ფრა; 15. ვეოლი; 17. მარაბდა; 18. ქერამი; 19. ტრაკი; 20. სიმეონე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჭლეჩორი; 2. ხრიდოლი; 3. ბარიერი; 4. გულანი; 5. პორშონი; 8. პოგიბე; 9. მეზონინი; 12. პროტესტი; 13. აჩალუკი; 16. ფოვგვავა; 17. ბორჯომი; 19. კომბლე; 20. საუზე.

**თარაზულად:** 6. ალერქოტი; 7. პენსიონი; 8. მარინა; 10. ჰოსპიტალი; 11. ცირკ; 14. ბენეფიცი; 15. ფოლკლორი; 18. ჟურნალი; 21. ოტიტონი; 22. ჯანმი; 23. ელიტონი; 24. ვანდალიზმი.

ახალი თაობა
akhalitaoba.ge

12 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.6960 | ევრო — 2.8586 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3126 | 100 რუსული რუბლი — 2.6974 |

ამინდის პროგნოზი 12 ოქტომბრისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაბრიელ მარტინელი: „მოედანზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები“



არსენალის ბრაზილიელმა ფორვარდმა ფეხბურთის მიმართ სიყვარულზე ისაუბრა და თქვა, რომ ის მოედანზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯება და ცდილობს, რომ გუნდისთვის სასარგებლო იყოს. მარტინელიმ ერთადერთი გოლი გაიტანა მანჩესტერ სიტის წინააღმდეგ და თავის გუნდს მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა:

– ძალიან მიხარია, რომ გოლი გავიტანე და თავს არასოდეს ვზოგავ. არსენალს წელს შეუძლია ჩემპიონობისთვის ბრძოლა და ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ.

## გვარდიოლა: „ჩემპიონთა ლიგის მოგება კიდევ ბევრჯერ მინდა“



მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა, ხოსეპ გვარდიოლამ თქვა, რომ მას კიდევ სურს ჩემპიონთა ლიგის მოგება და სჯერა, რომ ეს შესაძლოა წელს მოხდეს. გვარდიოლას აზრით, სიტის კრიზისი არა აქვს:

– ჩვენ ზედიზედ ორი თამაში წავაგეთ, მაგრამ კრიზისი არ გვაქვს და ამას მალე ყველა დაინახავს. ჩემპიონთა ლიგაში ფავორიტები ვართ და ამ ტურნირის მოგება არასოდეს მომბეზრდება. სიტიდან წასვლას ჯერჯერობით არ ვაპირებ.

## ზიდანი: „შესაძლოა, მწვრთნელობას მალე დავუბრუნდე“



მადრიდის რეალის ყოფილმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ ის შესაძლოა მალე სამწვრთნელო საქმიანობას დაუბრუნდეს, თუმცა, ჯერჯერობით, ზუსტად არ იცის, თუ რომელ გუნდში მოხდება ეს.

**ზიდანის თქმით, ის მზად არის ნაკრების გასაწვრთნელადაც:**

– მინდა, რომ ჩემს საქმიანობას დავუბრუნდე, თუმცა, ჯერჯერობით, ოჯახით ვტკბები და მინდა, რომ სიამოვნება მივიღო. როდესაც ამის დრო იქნება, ფეხბურთში აუცილებლად დავბრუნდები, რადგან ეს საქმე ძალიან მიყვარს“.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## თბილისის კონსერვატორიამ კულტურის სამინისტროს სასამართლოში უჩივლა





ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ კულტურის სამინისტროს სასამართლოში უჩივლა. სამინისტროს წინააღმდეგ კონსერვატორიის შუამდგომლობები სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

– როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2023 წლის 25 სექტემბრის ბრძანებითმ გაუქმდა სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდგომ – კონსერვატორია) აკადემიური საბჭოს 2023 წლის 28 ივლისის დადგენილება კონსერვატორიის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების შესახებ. ამავე ბრძანებით, კონსერვატორიას დაევალა სათანადო ღონისძიებების განხორციელება კონსერვატორიის წესდების, ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის დებულების, სტატუსის, მართვისა და ფუნქციონირების, ასევე, აკადემიური საბჭოს შემადგენლობის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და რექტორის არჩევნების გამოცხადება აღნიშნულის შემდეგ.

ვინაიდან კონსერვატორიის მოქმედ რექტორს უფლებამოსილების ვადა ეწურება 21 ოქტომბერს, დადგენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად კონსერვატორიას განესაზღვრა ხუთი სამუშაო დღე.

ამ პროცესში, კონსერვატორიისათვის ხელშეწყობის მიზნით, 2023 წლის 29 სექტემბერს სამინისტროში გაიმართა სამუშაო შეხვედრა კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრებისა და ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლების მონაწილეობით.

შეხვედრას ხელმძღვანელობდა მინისტრის პირველი მოადგილე იოსებ ბალათურია. შეხვედრაზე შეთანხმდნენ, რომ სამინისტრო და კონსერვატორია მჭიდროდ ითანამშრომლებდნენ კონსერვატორიის შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტაციის მოსაწესრიგებლად და იხელმძღვანელებდნენ მხოლოდ კონსერვატორიის საუკეთესო ინტერესებით.

ამავე შეხვედრაზე კონსერვატორიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ხუთ სამუშაო დღეში ვერ შეძლებდნენ შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავებას და მოითხოვეს დამატებითი ვადა, რაზეც შეხვედრაზევე მიიღეს სამინისტროს თანხმობა.

მოგვიანებით, მიმოწერისა და კონტაქტების შედეგად, დოკუმენტაციის მოწესრიგების საბოლოო ვადად განისაზღვრა 10 ოქტომბერი, თუმცა, როგორც დღეს, 2023 წლის 9 ოქტომბერს, სამინისტროში შემოსული სასამართლო შეტყობინებებით ირკვევა, 2023 წლის 2 ოქტომბერს კონსერვატორიამ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელით, რომელსაც ხელს აწერს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი თამარ ბულია (რექტორი კონსერვატორიისათვის ესოდენ მნიშვნელოვან დროს იმყოფება ხანგრძლივ მივლინებაში).

აღნიშნული სარჩელით კონსერვატორიამ მოითხოვა მინისტრის 2023 წლის 25 სექტემბრის ბრძანების ბათილად ცნობა. ასევე, კონსერვატორიამ სასამართლოს მიმართა შუამდგომლობებით და მოითხოვა სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მინისტრის ბრძანების მოქმედების შეჩერება და სამინისტროსთვის ისეთი მოქმედებების აკრძალვა, რომლებიც დაუკავშირდება კონსერვატორიის რექტორის არჩევნებს, კონსერვატორიის მმართველი ორგანოების დაკომპლექტებასა და მათ უფლებამოსილებაში ჩარევას.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## დემნამ ახალი სათვალე შექმნა



ქართველმა დიზაინერმა დემნამ მოდის სიახლეების მოყვარულებს ახალი სათვალე შესთავაზა.

ახალი კოლექციის სათვალე გაყიდვაში ჯერ არ გამოსულა, მაგრამ კიმ კარდაშიანს უკვე უკეთია.

**დემნა:**

– კიმს ვუთხარი, რომ მას არ სჭირდება ლამაზად მოქარგული კაბა, ჩვენ შეგვიძლია საპირისპირო მიმართულებით წავიდეთ, რადგან ის კიმ კარდაშიანია. მისმა სხეულის სილუეტმა ლამის სილამაზის სტანდარტები შეცვალა. კიმი პოპულარობის ისეთ დონეზე იმყოფება, რომ შეუძლია სახე არ გამოაჩინოს და მაინც ყველაზე შესამჩნევი იყოს. სხეულის არც ერთი ნაწილი არ უჩანდა და ყველამ იცნო – სილუეტით იცნეს. ჩემთვის დაუჯერებელია. როგორ შეიძლება ვინმე ასეთი ცნობილი იყოს.

## ელდარ შენგელაიას 90 წლის იუბილეზე ქუთაისში კინოჩვენება მოეწყობა



კინორეჟისორ ელდარ შენგელაიას 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით 22 ოქტომბერს ქუთაისში მისი ფილმის „მიქელა“ ჩვენება გაიმართება.

კინოთეატრ „საქართველოში“ ქუთაისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი აიღებს სტარტს, სადაც ორგანიზატორები ელდარ შენგელაიას იუბილეს აღნიშნავენ.

ქუთაისის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი 20-25 ოქტომბერს ჩატარდება.

## კოკო როინიშვილი ლევან წულაძეს მადლობას უხდის



მსახიობი და რეჟისორი კოკო როინიშვილი მარჯანიშვილის თეატრის ყოფილ სამხატვრო ხელმძღვანელს ლევან წულაძეს მადლობას საჯაროდ უხდის:

– ბატონო ლევან! ძალიან დიდი მადლობა, რომ შანსი მომეცით ძალიან; ძალიან კარგ თეატრში ვყოფილიყავი. ბევრი ვისწავლე თქვენგან და დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტს ვისწავლი, იმიტომ, რომ ძალიან დიდი და მაგარი საქმე დაიწყეთ ისევ თავიდან და ვიცი, „თეატრი სახელოსნო 42“ განწირულია ძალიან დიდი წარმატებისთვის! წინ, ბატონო ლევან, ახალი საოცარი თავგადასავლებისკენ!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## მამაკაცი რესტორანში უფასო კვებისთვის გულის შეტევას იგონებდა



ესპანეთის რესტორნებში ლიეტუველმა ტურისტმა მინიმუმ 20-ჯერ მაინც გაითამაშა გულის შეტევა, რათა შეკვეთილი კერძების საფასური არ გადაეხადა.

ყველა დაწესებულებაში მამაკაცი უფასოდ სადილობისთვის, ერთსა და იმავე სცენას აწყობდა: ისე იქცეოდა, თითქოს გონებას კარგავდა და იატაკზე ეცემოდა. ერთ-ერთი რესტორნის მოტყუებული მფლობელის თქმით, სანამ ლიეტუველი გულის შეტევას გაითამაშებდა, მან მის დაწესებულებაში რამდენიმე ჭიქა ვისკი დალია და ოლივიეს სალათი მიირთვა.

მას შემდეგ, რაც მამაკაცის სიმულაცია გამოვლინდა, მისი ფოტოსურათები დიდი რაოდენობით რესტორნებს გადაუგზავნეს.

– ყველამ მივიღეთ გაფრთხილება მისი ფოტოსურათის თანხლებით, რომ ფრთხილად ვყოფილიყავით და მისთვის მომსახურება არ გაგვეწია, – განაცხადა ერთ-ერთი დაწესებულების თანამშრომელმა. მოგვიანებით, მამაკაცს ორი ჯარიმა გამოუწერეს ზემოთ აღნიშნული დარღვევებისთვის. საუბარი უმნიშვნელო თანხაზე იყო, თუმცა მან მის გადახდაზე უარი განაცხადა. შედეგად ის 42 დღით იქნა გამწესებული საპატიმროში. რესტორნების მფლობელები კი მის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებენ, რის შემდეგაც ლიეტუველს შესაძლოა ორ წლამდე პატიმრობა შეეფარდოს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ულრანი, გაუვალი ტროპიკული ტყე; 2. პატარა ბუ; 3. კუნძულოვანი სახელმწიფო აზიაში; 4. ქართველი მწერალი, რომან „გმირთა ვარამის“ ავტორი; 5. იტალიელი მოდელიერი; 8. წმინდანად შერაცხული ქართველი არქიმანდრიტი, თეოლოგიის დოქტორი; 9. ქართველი პოეტი ქალი; 12. თეატრალური პრემია საქართველოში; 14. მუსლიმანთა ყოველდღიური ლოცვა, რომელიც დღეში ხუთჯერ სრულდება; 16. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი.

**თარაზულად:** 1. საეკლესიო წესით ქორწინება; 6. სოფოკლეს ტრაგედია; 7. რომელიმე რელიგიის მოძღვრების ახალი მიმდევარი; 9. ევროპელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის შთამომავალი სამხრეთ ამერიკაში; 10. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 11. ღვინისა და ლუდის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 13. მოკლე ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 15. მინერალური წყალი სამეგრელოში; 17. ისტორიული მოედანი პარიზში; 18. ღვარძლიანი, გულღრძო ადამიანის ძველებური სახელწოდება; 19. ჩრდილო ამერიკაში ბინადარი დიდი დათვი; 20. სამრეწველო რაიონი პოლონეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

